

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 12

# ზოგადი და კერძო ნაწილი

## I ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის შემსუბუქება
2. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის მცდელობისათვის
3. სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით
4. ნასამართლობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე, მითითების ამორიცხვა
5. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

## II კერძო ნაწილი

6. განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში
7. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და საქართველოში შემოტანა

# I ზოგადი ნაწილი

## 1. სასჯელის შემსუბუქება

### განჩინება

#850-აპ-10

29 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ო. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. ს-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 თებერვლის განაჩენით ს. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შემენა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 20 ივნისიდან შემთხვევის დღემდე ს. ს-ი მუშაობდა საქართველოს შსს თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის მე-3 განყოფილების უფროსის თანამდებობაზე და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, იყო პოლიციელი.

2009 წლის 14 ივნისს ს. ს-ი ახლობლებთან და თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, ნუცუბიდის ქ. # მდებარე რესტორან „...“, სადაც აღნიშნავდა შვილის ნათლობას. დაახლოებით 22.<sup>30</sup> საათზე, რესტორნიდან გამოსვლისას, ს. ს-ს ნუცუბიდის ქუჩის მხრიდან შემოესმა ხმაური და მე-3 მ/რ-ნის ასასვლელი გზის მარჯვენა მხარეს დაინახა სამი პირი, რომლებიც აღმოჩნდნენ ლ. ჩ-ა, ვ. ჩ-ე და ი. კ-ა. ლ. ჩ-ა სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა გზის მოპირდაპირე მხარეს, ჯიხურში მომუშავე გამყიდველ მ. კ-ეს, ხოლო თანმხლები პირები ცდილობდნენ მის დაწყნარებას. ნასვამი ს. ს-ი სიტუაციის გასარკვევად მივიდა აღნიშნულ პირებთან, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ ნუცუბიდის ქ. #127-ე კორპუსთან, გზაზე. სიტუაციის გარკვევისას მას შელაპარაკება მოუვიდა ლ. ჩ-ასთან, რომელმაც ხელის გარტყმით წააქცია ს. ს-ი და მასთან მყოფი, თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-3 განყოფილების უზნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი თ. ხ-ი. აღნიშნულით განაწყენებულმა ს. ს-მა განიზრახა ლ. ჩ-ას მოკვლა, ამოიღო დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელ თ. მ-ზე გაპიროვნებული, მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი, თანაქონი „H9“ მოდელის # პისტოლეტი, რომელსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა და გაისროლა ლ. ჩ-ას მიმართულებით, რომელიც დაიჭრა თავის არეში და ადგილზევე გარდაიცვალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. ს-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლით, ხოლო 108-ე მუხლით - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 15 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა გ. ხ-მა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება, ს. ს-ის გამართლება სსკ-ის 108-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით - სასჯელების შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორები - მსჯავრდებული ს. ს-ი და ადვოკატი გ. ხ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან სასამართლომ არასრულად შეაფასა მტკიცებულებები. მსჯავრდებული თავს არ ცნობს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში; მისი ჩვენებით, რადგან თავისი იარაღი იყო დაზიანებული და ჩაბარებული ჰქონდა საიარაღო განყოფილებაში, შემთხვევის დღეს თვითნებურად აიღო თავის თანამშრომელზე გაპიროვნებული იარაღი. ლ. ჩ-ასა და მის თანმხლებ პირებთან სიტუაციის გარკვევის დროს ამ უკანასკნელმა მას და მის თანამშრომელ თ. ხ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც ორივე დაეცა; ადგომისას, როდესაც იარაღის ამოღებას ცდილობდა, რათა გაეფრთხილებინა ლ.

ჩ-ა, გაიგონა გასროლის ხმა, რასაც დაერთო მისი იარაღიდან უნებლიე გასროლა და ტყვია მოხვდა ლ. ჩ-ას, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ს. ს-მა თვითონ გამოიძახა სასწრაფო დახმარება, მომხდარის შესახებ შეატყობინა თავის ხელმძღვანელობას, მოძებნა გასროლილი მასრა, რომელიც იარაღთან ერთად წარუდგინა პროკურატურის გამომძიებელს. მსჯავრდებულის განმარტებით, თანაქონი იარაღიდან გასროლა მოხდა მიწიდან წამოდგომის დროს. მისი ეს ჩვენება ობიექტურია და შეესაბამება რეალურ ვითარებას, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა იგი. სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიური, ბალისტიკური და ალტერნატიული ექსპერტიზების დასკვნები და ს. ს-ის ჩვენებებში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა შემთხვევის ერთ, მთლიან სურათს და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. მტკიცებულებათა ერთობლიობით იკვეთება მოწმეებად დაკითხული ი. კ-ასა და ვ. ჩ-ის ჩვენებების არაბუნებრიობა; ისინი დაინტერესებულები არიან მსჯავრდებულის მკაცრად დასჯით. ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნით და სასამართლო სხდომაზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ ა. გ-ისა და კრიმინალისტ-ბალისტიკოს გ. გ-ას ჩვენებებით, ცეცხლნასროლი ჭრილობის შესავალი და გამოსავალი ხვრელების ლოკალიზაციის, ჭრილობის არხის მიმართულებისა და შემთხვევის მოდელირებისას მიღებული მონაცემების მხედველობაში მიღებით, ექსპერტიზა დასაშვებად მიიჩნევს ლ. ჩ-ას დაზიანების განვითარების შესაძლებლობას მსჯავრდებულის ჩვენებებში ასახულ ვითარებაში, განსხვავებით მოწმეების - ვ. ჩ-ისა და ი. კ-ას ჩვენებებში ასახული ვითარებისა, რაც აშკარად მიუთითებს ამ მოწმეების მიერ ცრუ ჩვენების მიცემაზე. ექსპერტიზით ასევე დადგენილია, რომ გასროლა მოხდა არაახლო მანძილიდან.

კასატორთა აზრით, აწ გარდაცვლილ ლ. ჩ-ას ს. ს-თან შეხვედრამდე ჰქონდა კონფლიქტი დაუდგენელ პირებთან, რასაც ადასტურებს გვაშე არსებული მრავლობითი დაზიანებები. თავად მსჯავრდებულს სხეულსა და ტანსაცმელზე დაზიანებები არ ჰქონია. ლ. ჩ-ა თავისი ფიზიკური შესაძლებლობით თავისუფლად გაუმკლავდა ორ პოლიციელს, რადგან თვითონაც პოლიციის ლეიტენანტი ყოფილა. საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება პოლიციის უფროსის მხრიდან აწ გარდაცვლილთან კონფლიქტური ურთიერთობის წამოწყება-განვითარებაზე. თავად მსჯავრდებულს რომ არ ეღიარებინა დანაშაულის ჩადენა, იგი ვერ ამოიცნეს მოწმეებმა - ი. კ-ამ და ვ. ჩ-ემ, რადგან ი. კ-ას ჩვენებით, იმ პირს, ვინც ლ. ჩ-ას ესროლა, ეცვა შავი პერანგი, ხოლო ს. ს-ს შემთხვევის დღეს თეთრი პერანგი ემოსა; ჩნდება ეჭვი, რომ სწორედ შავპერანგიანი იყო ის, ვინც პირველად გაისროლა იარაღიდან.

საყურადღებოა ისიც, რომ არ არის დადგენილი, ნამდვილად ს. ს-ის იარაღიდან გასროლილი ტყვიით არის თუ არა გარდაცვლილი ლ. ჩ-ა; ასეთივე დაზიანება შეიძლება მიეყენებინა პირველად გასროლილ ტყვიასაც; არ არის დადგენილი მიზეზობრივი კავშირი ს. ს-ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ასევე - დანაშაულის მოტივი, მიზანი და განზრახვის ფორმა - პირდაპირია იგი თუ არაპირდაპირი; ასევე დაუდგენელია იარაღიდან ტყვიის უნებლიეთ გასროლის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანია ბრალის პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის. ს. ს-ი იარაღის ამოღებით ცდილობდა მოწინააღმდეგის მოგერიებას, მაგრამ რომელმაც გასროლამ მიაყენა დაზარალებულს დაზიანება, დაუდგენელია. ბალისტიკური ექსპერტიზისათვის გამოძიებას არ დაუშვამს კითხვა: შესაძლებელი იყო თუ არა უნებლიე გასროლა ს. ს-ის თანაქონი იარაღიდან, ასევე - ეს გასროლა მოხდა იარაღზე ზემოქმედებით თუ ზემოქმედების გარეშე. ამის დადგენას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია, მოხდა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით. საერთოდ არ გარკვეულა შემთხვევის ადგილზე პირველად და მეორედ გასროლილი ტყვიების მსროლელთა ვინაობა.

კასატორთა აზრით, ს. ს-ს განზრახ მკვლელობა არ ჩაუდენია; არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ბრალი შეიძლება შეფასდეს მხოლოდ გაუფრთხილებლობით მკვლელობასთან მიმართებით. გარდა ამისა, სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის მოთხოვნები სასჯელების ნაწილობრივი შეკრების პრინციპთან დაკავშირებით, ასევე - აშკარად მკაცრი სასჯელები დაუნიშნა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული და მისი ადვოკატი გ. ხ-ი ითხოვენ ს. ს-ის ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელის დანიშვნას მისი პიროვნების დამახასიათებელი დადებითი მონაცემების გათვალისწინებით; ასევე ითხოვენ სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით შეფარდებული სასჯელების განახევრებას იმის მხედველობაში მიღებით, რომ ს. ს-ი პირველად სამართალში; გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული; ხასიათდება დადებითად; მის მიერ ჩადენილი ქმედება და დამდგარი შედეგი დაკავშირებული იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან და გამომდინარეობდა დაზარალებულის აგრესიული მოქმედებიდან.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის მოტივებიდან გამომდინარე, კასატორები ეჭვქვეშ აყენებენ არა მხოლოდ მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციას, არამედ - მის ბრალეულობასაც ლ. ჩ-ას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

პალატა აღნიშნავს, რომ მიზეზობრივი კავშირი მსჯავრდებულის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, კერძოდ:

მოწმეების - ი. კ-ასა და ვ. ჩ-ის თანმიმდევრული ჩვენებებით, მათ ს. ს-მა მიმართა: "თქვენ ხართ ძველი ბიჭებიო?", რის შემდეგ ლ. ჩ-ას ხელი ჩაავლო ყელში. საპასუხოდ, დაზარალებულმა ს. ს-სა და მის თანმხლებ თ. ხ-ს ხელი დაარტყა და ორივე წააქცია. ჩხუბი დაახლოებით 10-15 წამს გაგრძელდა, რა დროსაც მოესმათ იარაღის გადატენის ხმა. შემდეგ ს. ს-მა იარაღი მიმართა ლ. ჩ-ას თავისკენ და დაახლოებით 1,5 მეტრიდან, ქვემოდან ზემოთ ესროლა. დაზარალებული დაეცა, ხოლო ს. ს-ს მისმა თანმხლებმა ჰკითხა: "რა არის, მოკალიო?".

საჩივრის მიხედვით, დაზიანება შეიძლებოდა მიეყენებინა პირველად გასროლილ ტყვიასაც, მაგრამ ი. კ-ას, ვ. ჩ-ისა და ტ. ა-ას, ასევე - ჯიხურში მომუშავე მ. კ-ის ჩვენებებით, ორ გასროლას შორის ინტერვალი, სულ მცირე, რამდენიმე წუთი იყო.

თავად ს. ს-ი მიუთითებს, რომ პირველი გასროლის ხმა მოესმა მისგან ზევით მდებარე ნაგავსაყრელის მხრიდან. თავად ფეხზე დგებოდა, ამოიღო იარაღი და უნებლიეთ, მისი იარაღიდანაც მოხდა გასროლა და ამ დროს ლ. ჩ-ა წაიქცა. როგორც აღიქვა, ლ. ჩ-ას მის მიერ ნასროლი ტყვია მოხვდა.

ალტერნატიული, კომპლექსური სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, რომელზეც აპელირებენ კასატორები, გვამზე არსებული ცეცხლნასროლი დაზიანება შესაძლებელია განვითარებულიყო ს. ს-ის მიერ ასახულ ვითარებაში.

მსჯავრდებულის ჩვენებით, მისი იარაღიდან გასროლა მოხდა ქვემოდან ზემოთ (რაც ემთხვევა ჭრილობის არხის მიმართულებას), ხოლო პირველი გასროლის ხმა მოესმა მისგან ზევით მდებარე ტერიტორიიდან. ამრიგად, სხვა მტკიცებულებების მხედველობაში მიუღებლადაც, თავად მსჯავრდებულის ჩვენებიდან და ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნიდან, ასევე - ცეცხლნასროლი ჭრილობის არხის მიმართულებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ლ. ჩ-ას მოხვდა სწორედ ს. ს-ის პისტოლეტიდან ნასროლი ტყვია.

მსჯავრდებული იარაღის ამოღების მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ სურდა ჰაერში გასროლა, რადგან დაზარალებული მისკენ "წამოვიდა სახით". ამასთან, აპირებდა იარაღის ზევით აწევას.

ს. ს-ის ამ ჩვენებიდან გამომდინარე, გაურკვეველია, მისკენ "სახით მიმავალ" დაზარალებულს როგორ მოხვდა ტყვია კისრის მარცხენა გვერდითა ზედაპირზე, ყურის ნიჟარის ქვემოთ, მით უფრო იმ ვითარებაში, როცა მსჯავრდებული "იარაღის ზევით აწევას" აპირებდა, ანუ პისტოლეტი ჯერ კიდევ ლულით ქვევით ეჭირა.

მოწმეები - ი. კ-ა და ვ. ჩ-ე მიუთითებენ, რომ გასროლის მომენტში, ალბათ იარაღის დაზიანების გამო, ლ. ჩ-ამ თავი მარჯვნივ მიაბრუნა. მათვე აღნიშნეს, რომ მოესმათ იარაღის გადატენის ხმა.

მსჯავრდებული უარყოფს, რომ პისტოლეტი გადატენა და ვარაუდობს, რომ იგი მომხდარი ფაქტის დღეს სამსახურიდან საბრძოლო მდგომარეობაში წამოიღო, მაგრამ მოწმე თ. მ-ი განმარტავს პირიქით, რომ სამსახურში ჩაბარებისას იარაღი შეამოწმა და იგი არ იყო საბრძოლო მდგომარეობაში.

უსაფუძვლოა კასატორების მითითება, რომ ი. კ-ა და ვ. ჩ-ე დაინტერესებულები არიან მსჯავრდებულის მკაცრად დასჯით, მით უფრო, რომ მოპოვებული მტკიცებულებები ამ მოწმეთა და არა - მსჯავრდებულის ჩვენებების ობიექტურობაზე მეტყველებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, რადგან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია და ეყრდნობა კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს, ხოლო მსჯავრდებულის ქმედება სამართლებრივად სწორად შეფასდა.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია, თუმცა დადგენილია, რომ ს. ს-ი ხასიათდება დადებითად და ჰყავს მცირეწლოვანი შვილი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და წარსული ცხოვრების, ასევე, ჩადენილი ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით, ს. ს-ისათვის დაწინაურებული სასჯელი მეტისმეტად მკაცრია, უნდა შემსუბუქდეს და მისი საბოლოო ზომა განისაზღვროს სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ს. ს-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ გ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: ს. ს-ს სსკ-ის 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და ამ მუხლით მიესაჯოს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი - 6 თვე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელის - 3 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი - 1 წელი, 6 თვე და ს. ს-ს საბოლოოდ განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის შემსუბუქება**

**განჩინება**

#633-აპ-10

1 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ლ. ნ-ისა და ი. დ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 დეკემბრის განაჩენით ლ. ნ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2008 წლის 20 მაისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 22 მაისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2008 წლის 28 მაისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2008 წლის 14 ივლისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 11 ოქტომბრის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2009 წლის 18 თებერვლის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (2009 წლის 6 მარტის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ლ. ნ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 7 თვისა და 8 დღის ვადით და ჯარიმა - 2 500 ლარის ოდენობით და საბოლოოდ ლ. ნ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის, 7 თვისა და 8 დღის ვადით, ასევე ჯარიმა - 2500 ლარი;

ლ. ნ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2009 წლის 8 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2009 წლის 11 მარტიდან 2009 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.

იმავე განაჩენით ი. ლ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით (2008 წლის 20 მაისის ეპიზოდი) თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2008 წლის 22 მაისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით (2008 წლის 28 მაისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით (2008 წლის 14 ივლისის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2008 წლის 11 ოქტომბრის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით (2009 წლის 18 თებერვლის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით (2009 წლის 6 მარტის ეპიზოდი) - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და სსკ-ის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ი. ლ-ს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 7 თვისა და 8 დღის ვადით და ჯარიმა - 2 500 ლარის ოდენობით და საბოლოოდ ი. ლ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 30 წლის, 7 თვისა და 8 დღის ვადით, ასევე ჯარიმა - 2500 ლარი;

ი. ლ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2009 წლის 8 დეკემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2009 წლის 10 ივნისიდან 2009 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით.

საქმეზე გაცხადებული სამოქალაქო სარჩელები დაკმაყოფილდა მთლიანად და მსჯავრდებულებს - ი. ლ-სა და ლ. ნ-ს სოლიდარულად დაეკისრათ: ვ. ს-ს სასარგებლოდ - 6000 აშშ დოლარის, ვ. კ-ის სასარგებლოდ - 7000 აშშ დოლარის, მ. ბ-ის სასარგებლოდ - 1250 აშშ დოლარის, ე. ბ-ის სასარგებლოდ - 7000 აშშ დოლარის, ჯ. კ-ის სასარგებლოდ - 7000 აშშ დოლარისა და 300 ლარის, ე. გ-ის სასარგებლოდ - 250 ლარის და ი. ჭ-ის სასარგებლოდ - 250 აშშ დოლარის გადახდა.

განაჩენით ლ. ნ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ხუთი ეპიზოდი);

თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით (ორი ეპიზოდი).

იმავე განაჩენით ი. ლ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (ხუთი ეპიზოდი);

თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით (ორი ეპიზოდი);

მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: ი. ლ-მა და მისმა ნათესავმა ლ. ნ-მ განიზრახეს სხვისი ქონების თაღლითური გზით დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2008 წლის მაისში გაზეთის მეშვეობით დაუკავშირდნენ ნ. მ-ს, რომელსაც გამოქვეყნებული ჰქონდა განცხადება თბილისში მდებარე ბინის გაქირავების შესახებ. ი. ლ-ი და ლ. ნ-ე შეხვდნენ ნ. მ-ს და შეუთანხმდნენ, რომ იქირავებდნენ ხსენებულ ბინას თვეში 380 აშშ დოლარად და გადაუხადეს კიდევ ერთი თვის თანხა.

აღნიშნულის შემდეგ, დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად, ი. ლ-მა და ლ. ნ-მ გაზეთში გამოქვეყნეს განცხადება მათ მიერ ნაქირავები, თბილისში მდებარე ბინის დაგირავების შესახებ 7000 აშშ დოლარად. აღნიშნულ განცხადებას გამოეხმაურა ვ. ს-ა, რომელიც დაუკავშირდა ი. ლ-ს და შეუთანხმდა აღნიშნული ბინის 6000 აშშ დოლარად დაგირავებაზე. 2008 წლის მაისიშივე ი. ლ-მა ვ. ს-ს დაათვალა იერებინა თითქოსდა მისი კუთვნილი, ზემოაღნიშნული ბინა, რა დროსაც დააზუსტეს პირობები და თანხის გადაცემის დრო. 2008 წლის 20 მაისს ვ. ს-ა შეხვდა ი. ლ-სა და ლ. ნ-ს ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე და გადასცა მათ თანხის ნაწილი - 3000 აშშ დო-

ლარი, ხოლო დარჩენილი 3000 აშშ დოლარი გადაუხადა 2008 წლის 22 მაისს, ნოტარიუს ლ. უ-ის სანოტარო ბიუროში, მდებარე წერეთლის გამზირზე, სადაც აღნიშნულ 6000 აშშ დოლარზე გაფორმდა არა იპოთეკის, არამედ - სესხის ხელშეკრულება, რადგან ი. ლ-მა მოატყუა ვ. ს-ა, რომ სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხა პატიმრობაში მყოფი მეუღლისათვის საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად, ხოლო საბუთების აღებას და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებას კი დასჭირდებოდა გაცილებით დიდი დრო. მან ასევე დაარწმუნა ვ. ს-ა, რომ დასაგირავებელი ბინა რეგისტრირებული იყო დედამისის სახელზე. თანხის სრულად გადაცემისა და სესხის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ი. ლ-მა და ლ. ნ-მ შეადგინეს ხელწერილი იმის შესახებ, რომ ი. ლ-ი ვ. ს-ს 6000 აშშ დოლარს დაუბრუნებდა ორ წელიწადში, მანამდე კი ეს უკანასკნელი იცხოვრებდა ი. ლ-შვილის ბინაში. ამის შემდეგ ვ. ს-ა საცხოვრებლად გადავიდა ხსენებულ მისამართზე, ხოლო 2008 წლის 20 სექტემბერს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ბინა ეკუთვნოდა არა ი. ლ-ს, არამედ ნ. მ-ს. ი. ლ-ი და ლ. ნ-ე მოტყუებით დაეუფლნენ ვ. ს-ს კუთვნილ 6000 აშშ დოლარს, იმდროინდელი კურსით - 8700 ლარს, რითაც ამ უკანასკნელს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ი. ლ-მა და ლ. ნ-მ კვლავ განიზრახეს ანალოგიური ხერხით სხვისი თანხის დაუფლება და 2008 წლის 20 მაისს ტელეფონით დაუკავშირდნენ თ. ნ-ს, რომელსაც გაზეთში გამოქვეყნებული ჰქონდა განცხადება თავისი კუთვნილი ბინის გაქირავების შესახებ და შეუთანხმდნენ, რომ იქირავებდნენ აღნიშნულ ბინას თვეში 400 აშშ დოლარად. მეორე დღეს, 2008 წლის 21 მაისს, ი. ლ-მა თ. ნ-ს გადასცა ერთი თვის ქირის თანხა.

აღნიშნულის შემდეგ ი. ლ-მა გამოაქვეყნა განცხადება გაზეთში ხსენებული ბინის 7000 აშშ დოლარად დაგირავების შესახებ. განცხადებას გამოეხმაურნენ თ. კ-ე და მისი ბებია - ვ. კ-ე. 2008 წლის 20 მაისს ი. ლ-მა და ლ. ნ-მ თ. კ-ს დაათვალთვალეს ზემოაღნიშნული, თითქოსდა ი. ლ-ის დედის კუთვნილი ბინა და დააზუსტეს პირობები. 2008 წლის 22 მაისს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ვ. კ-მ ი. ლ-სა და ლ. ნ-ს შეთანხმებისამებრ გადასცა 7000 აშშ დოლარი. იმავე დღეს ნოტარიუს ნ. თ-ს სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისში, აღნიშნულ 7000 აშშ დოლარზე გაფორმდა არა იპოთეკის, არამედ - სესხის ხელშეკრულება, რადგან ი. ლ-მა მოატყუა თ. კ-ე და ვ. კ-ე, რომ დასაგირავებელი ბინა რეგისტრირებული იყო დედამისის სახელზე, რომელიც არ იმყოფებოდა ქალაქში, მის ჩამოსვლამდე და საბუთების მოგროვებამდე კი უფრო მეტი დრო გავიდოდა. ფულის გადაცემის შემდეგ თ. კ-ე მცირეწლოვან შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ხსენებულ მისამართზე, ხოლო რამდენიმე დღეში გაიგო, რომ ბინა ეკუთვნოდა არა ი. ლ-ს, არამედ თ. ნ-ს. ი. ლ-ი და ლ. ნ-ე მოტყუებით დაეუფლნენ ვ. კ-ისა და თ. კ-ის კუთვნილ 7000 აშშ დოლარს, იმდროინდელი კურსით - 10143 ლარს, რითაც მათ მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

ი. ლ-მა და ლ. ნ-მ, აგრძელებდნენ რა დანაშაულებრივ საქმიანობას, გაზეთში კვლავ გამოაქვეყნეს განცხადება თ. ნ-ის კუთვნილი ბინის 8000 აშშ დოლარად დაგირავების შესახებ. თ. კ-ს კი, თითქოსდა ოჯახური პრობლემების გამო, შესთავაზეს თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მდებარე ბინაში გადასვლა და ასევე მოატყუეს, რომ ხსენებული ბინა ეკუთვნოდა ლ. ნ-ს.

განცხადებას თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე ბინის დაგირავების შესახებ გამოეხმაურა მ. ბ-ე. 2008 წლის 28 მაისს ი. ლ-ი და ლ. ნ-ე შეხვდნენ მას, დაათვალთვალეს ბინა და შეთანხმდნენ საბოლოო პირობებზე. ი. ლ-მა შესთავაზა მ. ბ-ს, რომ ზემოაღნიშნულ 8000 აშშ დოლარზე გაეფორმებინათ არა იპოთეკის, არამედ - სესხის ხელშეკრულება, რაზეც მ. ბ-ე დათანხმდა და თან შეთანხმდნენ, რომ თანხის ნაწილს - 4000 აშშ დოლარს მ. ბ-ე გადასცემდა იმავე დღეს, ხოლო დარჩენილ 4000 აშშ დოლარს - რამდენიმე დღეში. ხელშეკრულება ვერ გაფორმდა, რადგან ნოტარიუსთან მისვლისას ი. ლ-ს არ აღმოაჩნდა პირადობის მოწმობა და ბინის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიუხედავად ამისა, ი. ლ-მა სთხოვა მ. ბ-ს, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე გადაეცა ხსენებული 4000 აშშ დოლარი, რადგან სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხა, მეორე დღეს კი პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოუდგენდა ამონაწერს საჯარო რეესტრიდან და გააფორმებდნენ ხელშეკრულებას. აღნიშნულზე მ. ბ-ე დათანხმდა და იმავე დღეს, 2008 წლის 28 მაისს, მეტროს სადგურ "დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე გადასცა ი. ლ-სა და ლ. ნ-ს 4000 აშშ დოლარი.

მეორე დღეს, 2008 წლის 29 მაისს, ი. ლ-ი და ლ. ნ-ე შეხვდნენ მ. ბ-ს ავეჯის სავაჭრო ცენტრ "საბაში". შეხვედრისას ი. ლ-მა მოატყუა მ. ბ-ე, რომ მისი პირადობის მოწმობა იყო ვადაგასული და შეტანილი ჰქონდა განცხადება ახალი მოწმობის ასაღებად, ხოლო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ბინის შესახებ მზად იქნებოდა რამდენიმე დღეში. ვინაიდან ვერ ხერხდებოდა ხელშეკრულების გაფორმება, მ. ბ-მ ი. ლ-სა და ლ. ნ-ს ზემოაღნიშნული 4000 აშშ დოლარის მათთვის გადაცემა დაადასტურებინა ხელწერილით, რამდენიმე დღეში კი გაარკვია, რომ თბილისში, წერეთლის გამზირზე მდებარე ბინა ეკუთვნოდა არა ი. ლ-ს, არამედ თ. ნ-სა და ლ. ვ-ს. ი.

დ-ი და ლ. ნ-ე მოტყუებით დაეუფლნენ მ. ბ-ის კუთვნილ 4000 აშშ დოლარს, იმდროინდელი კურსით - 5796 ლარს, რითაც მას მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. აქედან დღევანდელი მდგომარეობით ანაზღაურებულია 2750 აშშ დოლარი.

მორიგი თაღლითობის ჩადენის განზრახვით, 2008 წლის ივლისის დასაწყისში ი. ლ-ი და ლ. ნ-ე გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების მეშვეობით დაუკავშირდნენ ნ. ო-ს, რომელსაც გაეცნენ როგორც დები და თვეში 500 ლარად იქირავეს მისი კუთვნილი, თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა.

აღნიშნულის შემდეგ, ი. ლ-მა და ლ. ნ-მ ერთად, ასევე, გაზეთში გამოაქვეყნეს განცხადება ხსენებული ბინის 7000 აშშ დოლარად დაგირავების შესახებ. განცხადებას გამოეხმაურა ე. ბ-ი, რომელსაც ი. ლ-მა და ლ. ნ-მ დაათვალთვალეს თითქოსდა ი. ლ-ის მეუღლის - გ. ჯ-ს კუთვნილი, ზემოაღნიშნული ბინა და შეთანხმდნენ, რომ ე. ბ-ი გადასცემდა მათ 7000 აშშ დოლარს ორი წლის ვადით, ამ დროის განმავლობაში კი იცხოვრებდა თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე ბინაში. შეხვედრის დღესვე ე. ბ-მა გადასცა ი. ლ-სა და ლ. ნ-ს 1500 აშშ დოლარი, ხოლო 2008 წლის 14 ივლისს თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ბინაში გადასცა დანარჩენი 5500 აშშ დოლარი.

თანხის გადაცემის შემდეგ ე. ბ-ი საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე ბინაში, სადაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ხსენებული ბინის მესაკუთრე იყო არა ი. ლ-ის მეუღლე, არამედ ნ. ო-ი. ი. ლ-ი და ლ. ნ-ე თაღლითურად დაეუფლნენ ე. ბ-ის კუთვნილ 7000 აშშ დოლარს, იმდროინდელი კურსით - 9926 ლარს, რითაც მას მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ანალოგიურად, 2008 წლის ოქტომბრის დასაწყისში ი. ლ-მა და ლ. ნ-მ გაზეთის მეშვეობით ლ. გ-ისაგან იქირავეს თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მდებარე ბინა, თვეში 600 ლარად და გადაუხადეს ერთი თვის თანხა.

აღნიშნულის შემდეგ გამოაქვეყნეს განცხადება ზემოაღნიშნული ბინის 8000 აშშ დოლარად დაგირავების შესახებ. განცხადებას გამოეხმაურნენ ჯ. კ-ე და მისი მეუღლე - ჟ. რ-ე, რომლებიც ლ. ნ-ს შეუთანხმდნენ ბინის დაგირავებაზე, კერძოდ: ლ. ნ-მ და ი. ლ-მა მოატყუეს და სიტყვიერად დაარწმუნეს ჯ. კ-ე და ჟ. რ-ე, რომ თბილისში, დოლიძის ქუჩაზე მდებარე ბინა რეგისტრირებული იყო ლ. ნ-ის დედის სახელზე და არ უნდოდათ, რომ მას გაეგო ბინის დაგირავების შესახებ, თანხის გადაცემაზე კი გააფორმდნენ სესხის ხელშეკრულებას. ჯ. კ-ე დაეთანხმა აღნიშნულ პირობებს და 2008 წლის 11 ოქტომბერს ნოტარიუს თ. გ-ის სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, ლ. ნ-სა და ჯ. კ-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ჯ. კ-მ ლ. ნ-ს ასესხა 8000 აშშ დოლარი 18 თვის ვადით. იმავე დღეს ჯ. კ-მ ლ. ნ-ს გადასცა 7000 აშშ დოლარი, ხოლო 2008 წლის 25 ოქტომბერს ჯ. კ-მ, რომელიც მეუღლესთან - ჟ. რ-სთან ერთად უკვე გადასული იყო საცხოვრებლად ზემოხსენებულ, თითქოსდა ლ. ნ-ს მიერ დაგირავებულ ბინაში, დარჩენილი 1000 აშშ დოლარიდან ამ უკანასკნელს გადასცა 300 ლარი. აღნიშნულის შემდეგ ჯ. კ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ბინა ეკუთვნოდა არა ლ. ნ-ს, არამედ ლ. გ-ს. ლ. ნ-ე და ი. ლ-ი მოტყუებით დაეუფლნენ ჯ. კ-ის კუთვნილ 7000 აშშ დოლარს, იმდროინდელი კურსით - 9891 ლარს და ასევე - 300 ლარს, სულ - 10191 ლარს, რითაც მას მიაყენეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

2009 წლის თებერვლის დასაწყისში ი. ლ-ი და ლ. ნ-ე გაზეთის მეშვეობით დაუკავშირდნენ მ. მ-ს, რომელსაც გამოქვეყნებული ჰქონდა განცხადება მისი შვილიშვილის - ქ. ხ-ს კუთვნილი ბინის მდებარე თბილისში, გაბაშვილის ქუჩაზე გაქირავების შესახებ. 2009 წლის 13 თებერვალს ი. ლ-ი და ლ. ნ-ე ერთად შეხვდნენ მ. მ-ს და ბინის დათვალთვალეს შემდეგ, შეუთანხმდნენ, რომ იქირავებდნენ მისგან ბინას თვეში 450 აშშ დოლარად. აღნიშნულის შემდეგ გამოართვეს ბინის გასაღები და შეჰპირდნენ, რომ მეორე დღეს გადაუხდიდნენ ორი თვის ქირას.

იმავე დღეს, 2009 წლის 13 თებერვალს, ი. ლ-მა და ლ. ნ-მ გაზეთში გამოაქვეყნეს განცხადება ზემოაღნიშნული ბინის 7000 აშშ დოლარად დაგირავების შესახებ, 1 წლის ვადით. განცხადებას გამოეხმაურა ე. გ-ი და 2009 წლის 14 თებერვალს შეხვდა მათ მეტროს სადგურ "დელისთან". იმავე დღეს ი. ლ-მა და ლ. ნ-მ ე. გ-ს დაათვალთვალეს ზემოაღნიშნული, თითქოსდა ლ. ნ-ის კუთვნილი ბინა, შეთანხმდნენ საბოლოო პირობებზე, რის შემდეგაც ე. გ-მა ბეს სახით დატოვა 50 ლარი და მოითხოვა ბინაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2009 წლის 16 თებერვალს ლ. ნ-ე შეხვდა ე. გ-ს და კვლავ მოატყუა, რომ შეტანილი ჰქონდა განცხადება საჯარო რეესტრში ამონაწერის აღების შესახებ, რასაც სჭირდებოდა ოთხი დღე. 2009 წლის 18 თებერვალს ი. ლ-ი ტელეფონით დაუკავშირდა ე. გ-ს და სთხოვა 300 ლარი, რაც თითქოსდა სჭირდებოდა ლ. ნ-ს ბინის საჯარო რეესტრში დასარეგისტრირებლად, რადგან იგი ნაყიდი იყო 12 წლის წინ. იმავე დღეს ე. გ-ი შეხვდა ი. ლ-სა და ლ. ნ-ს, რომლებსაც გადასცა 200 ლარი. ამის შემდეგ ე. გ-მა რამდენიმე დღეში გაარკვია, რომ თბილისში, გაბაშვილის ქუჩაზე მდებარე



ბინა ლ. ნ-სა და ი. ღ-ს ნაქირავები ჰქონდათ მ. მ-ისაგან და იგი არ ეკუთვნოდა ლ. ნ-ს. მოტყუებით დაეუფლნენ რა ე. გ-ის კუთვნილ 250 ლარს, ი. ღ-მა და ლ. ნ-მ მიაყენეს მას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ანალოგიური დანაშაულის ჩადენის მიზნით, 2009 წლის 5 მარტს ი. ღ-მა და ლ. ნ-მ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების მეშვეობით ნ. ნ-ისაგან იქირავეს თბილისში, პეკინზე მდებარე ბინა, თვეში 500 აშშ დოლარად და იმავე დღეს გამოაქვეყნეს განცხადება აღნიშნული ბინის 4500 აშშ დოლარად დაგირავების შესახებ.

განცხადებას გამოეხმაურა ი. ჭ-ე, რომელსაც 2009 წლის 6 მარტს, დაახლოებით 11:00 საათზე, შეხვდა ლ. ნ-ე და დაათვალიერებინა ზემოაღნიშნული ბინა. ი. ჭ-მ მოითხოვა ბინაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რის შემდეგაც გადასცემა და თანხას. ლ. ნ-ე შეჰპირდა, რომ წარუდგენდა ამონაწერს, რამდენიმე საათში კი ტელეფონით დაუკავშირდა და მოატყუა, რომ საჯარო რეესტრიდან ამონაწერის ასაღებად სასწრაფოდ ესაჭიროებოდა 250 აშშ დოლარი და სთხოვა მას აღნიშნული თანხა. იმავე დღეს ი. ღ-ი და ლ. ნ-ე შეხვდნენ ი. ჭ-ს მეტროს სადგურ "მარჯანიშვილთან", გამოართვეს მას 250 აშშ დოლარი, რაც დადასტურეს წერილობით, სადაც ასევე მიუთითეს, რომ აღნიშნული თანხა ლ. ნ-მ მიიღო მისი კუთვნილი ბინის დაგირავებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შემდეგ ი. ჭ-მ გაარკვია, რომ პეკინზე მდებარე ბინა ეკუთვნის ნ. ნ-ს და არა ლ. ნ-ს. ამრიგად, ი. ღ-ი და ლ. ნ-ე თადლითურად დაეუფლნენ ი. ჭ-ის კუთვნილ 250 აშშ დოლარს, იმდროინდელი კურსით - 423 ლარსა და 75 თეთრს, რითაც მას მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა - ი. ღ-მა და ლ. ნ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების კუთხით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მაისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მსჯავრდებულთათვის დანიშნული სასჯელების შეკრებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული წესი და ლ. ნ-სა და ი. ღ-ს საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 27-27 წლით, 4-4 თვითა და 8-8 დღით, ასევე ჯარიმა - 2500-2500 ლარი. გასაჩივრებული განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა - ლ. ნ-მ და ი. ღ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორები საჩივრებში აღნიშნავენ, რომ აღიარებენ და ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს და ითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულების მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას. საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

მსჯავრდებულების - ლ. ნ-ისა და ი. ღ-ის მიერ განაჩენით შერაცხულ დანაშაულთა ჩადენა, გარდა მათი აღიარებითი ჩვენებებისა, უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებულ, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულების - თ. კ-ის, მ. ბ-ის, ჯ. კ-ის, ვ. ს-ს, ე. ბ-ის, ი. ჭ-ისა და ე. გ-ის ჩვენებებით, მოწმეების - ჟ. რ-ის, ხ. ლ-ს, ც. ბ-ის, ნ. ო-ის, ზ. გ-ის, ლ. ვ-ს, ე. ს-ს, გ. ლ-ის, ნ. მ-ს, თ. ნ-ისა და ნ. ნ-ის ჩვენებებით, საქმეზე არსებული წერილობითი მტკიცებულებებითა და ასევე საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ ლ. ნ-სა და ი. ღ-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნიათ, აღიარებენ და ინანიებენ ჩადენილ დანაშაულს. აღნიშნულისა და ლ. ნ-ისა და ი. ღ-ის მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმიდან გამომდინარე, მათთვის დანიშნული სასჯელი - 27-27 წლით, 4-4 თვითა და 8-8 დღით თავისუფლების აღკვეთა მეტისმეტად მკაცრია და უნდა შემსუბუქდეს სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულების - ლ. ნ-ისა და ი. ღ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 4 მაისის განაჩენი შეიცვალოს:

ლ. ნ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 11 ოქტომბრის ეპიზოდი) დანიშნულ ძირითად სასჯელს - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას დაემატოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ბრალდების სამი - 2008 წლის 20 მაისის, 2008 წლის 28 მაისისა და 2008 წლის 14 ივლისის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების - 4-4 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი - 2-2 წელი და 3-3 თვე, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 22 მაისის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი - 3 წელი და 3 თვე, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ბრალდების ორი - 2009 წლის 18 თებერვლისა და 2009 წლის 6 მარტის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების - 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი - 2-2 წელი და ლ. ნ-ს მიესაჯოს 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 7 თვითა და 8 დღით და ჯარიმა - 2 500 ლარი და საბოლოოდ ლ. ნ-ს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 21 წლით, 1 თვითა და 8 დღით, ასევე ჯარიმა - 2 500 ლარი.

ი. ღ-ისთვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 11 ოქტომბრის ეპიზოდი) დანიშნულ ძირითად სასჯელს - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთას დაემატოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ბრალდების სამი - 2008 წლის 20 მაისის, 2008 წლის 28 მაისისა და 2008 წლის 14 ივლისის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების - 4-4 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი - 2-2 წელი და 3-3 თვე, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2008 წლის 22 მაისის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელის - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი - 3 წელი და 3 თვე, სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ბრალდების ორი - 2009 წლის 18 თებერვლისა და 2009 წლის 6 მარტის ეპიზოდები) დანიშნული ძირითადი სასჯელების - 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთის ნახევარი - 2-2 წელი და ი. ღ-ს მიესაჯოს 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მთლიანად დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 7 თვითა და 8 დღით და ჯარიმა - 2 500 ლარი და საბოლოოდ ი. ღ-ს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 21 წლით, 1 თვითა და 8 დღით, ასევე ჯარიმა - 2 500 ლარი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის შემსუბუქება

### განჩინება

#986-აპ-10

3 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვანის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის განაჩენით ა. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის სახით განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, ა. ხ-ის მიმართ დანიშნული სასჯელი შემცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 25 დეკემბრიდან.

განაჩენით ა. ხ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 8 აგვისტოს ა. ხ-ე ოჯახთან ერთად ბებულის მოსანახულებლად თბილისიდან ვანის რაიონის სოფელ ზ-ში ჩავიდა. სოფელში ყოფნისას, იმავე დღეს, დაახლოებით 19.00 საათზე, იგი შემთხვევით შეხვდა თ. მ-ს, რომელსაც იმის გამო, რომ მისთვის ცნობილი იყო სოფლის საჯარო სკოლაში 2007 წლის ზაფხულში საცავში უკანონო შეღწევით ტკბილეულობის ფარულად დაუფლების დაბრალებისათვის თ. მ-მა იგი თითქოსდა უცენზურო სიტყვებით მოიხსენია, ვითარებაში გასარკვევად მოგვიანებით შეხვედრა დაუთქვა.

შეთანხმებისამებრ, იმავე დღეს, დაახლოებით 21.30 საათზე, მხარეებმა თავი მოიყარეს სოფლის ცენტრში, ნ. მ-ის სასურსათო მაღაზიის წინამდებარე ტერიტორიაზე. ა. ხ-ს თან ახლდა დეიდაშვილი გ. კ-ე, ხოლო მთვრალ თ. მ-ს კი გზაში შემთხვევით შეხვედრილი თანატოლები - გ. რ-ე და ჯ. ჭ-ი. საუბრისას თ. მ-მა აუხსნა ა. ხ-ს, რომ მის შესახებ ცუდი არაფერი უთქვამს, რაც მან არ ირწმუნა და კამათი ამ ორთა შორის ჩხუბში გადაიზარდა. აღნიშნულით განაწყენებულმა ა. ხ-მ გადაწყვიტა, შურისძიების მოტივით განზრახ მოეკლა მოდავე. საამისოდ მან ჯიბიდან ამოიღო თანაქონი დასაკეცი დანა, რაც შეამჩნია თ. მ-მა და იმისათვის, რათა მოწინააღმდეგეს დანის გაშლა ვერ მოეხერხებინა, ორივე ხელით შებოჭა იგი. ა. ხ-მ მარჯვენა მკლავზე კბენით თავიდან მოიშორა თ. მ-ი, ამით დანის გაშლა შეძლო და განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მარჯვნიდან მარცხნივ მოქნევით მუცლის არეში ძლიერად დაარტყა იგი, რითაც მეზოგასტრიუმის მიდამოში, მუცლის ღრუში მარჯვნივ შემავალი ჭრილობის სახით სიცოცხლისათვის საშიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მიყენა. ამასობაში კონფლიქტის განმუხტვა და აგრესიულად მოქმედი ა. ხ-ის შეჩერება სცადეს ჯ. ჭ-მა და გ. რ-მ, რის მიუხედავადაც ა. ხ-მ, რომელიც არ იყო დარწმუნებული, რომ სიცოცხლე მოუსპო თ. მ-ს, კიდევ ერთხელ ტანის არეში დაარტყა დანა უკვე მუხლებში ჩაკეცილ მსხვერპლს, რითაც მან თავისგან დამოუკიდებელი მიზეზით ნეკნთა რკალის მარცხენა არეში არაშემავალი ჭრილობის სახით, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ამჯერად მხოლოდ სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანების მიყენება შეძლო.

გამშველბელთა ძალისხმევის პირობებში დანით აღჭურვილ ა. ხ-ს, რომელიც უკვე ნათლად ხედავდა, რომ მოდავეს მუცლიდან სისხლიც სდიოდა და სიმთვრალისა და განცდილი ტკივილისაგან წინააღმდეგობის უნარიც არ გააჩნდა, მართალია, შეეზღუდა შემდგომი დარტყმის შესაძლებლობა, მაგრამ იგი კვლავ მიიწევდა დაზარალებულისაკენ და, მისი მოკვლის განზრახვით შეპყრობილმა, კიდევ მოახერხა მარჯვენა ხარბაყში მსუბუქი დაზიანების მიყენება, რა დროსაც დანის მოქნევით, შემთხვევით, ზურგის არეში ჯ. ჭ-ც მსუბუქად დაჭრა. ამასობაში, ერთი მხრივ, გ. კ-ის შემახილმა, რომ მძიმედ დაჭრა თ. მ-ი, მეორე მხრივ, იმის დანახვამ, რომ იგი სისხლში მოსვრილი უმწეოდ იწვა მიწაზე, ა. ხ-ს აფიქრებინა, რომ ბოლომდე მიიყვანა განზრახვა, რის გამოც იგი თანმხლებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

გ. რ-მ და ჯ. ჭ-მა სწრაფად მიიყვანეს თ. მ-ი იქვე, ახლოს მცხოვრებ ნ. დ-ის სახლში, საიდანაც იგი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში და დროული სამედიცინო-ოპერაციული ჩარევის შედეგად სიკვდილს გადაარჩა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ა. ხ-ის ინტერესების დამცველებმა, ადვოკატებმა - ი. ჩ-მ და დ. ფ-მ, რომლებმაც ითხოვეს ვანის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 მაისის განაჩენის გაუქმება და ა. ხ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ა. ხ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ჩ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით; ა. ხ-ისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები არ დასტურდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და საქმის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად და ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა. ა. ხ-ის მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულ თ. მ-ის ჩვენებით, მოწმეების - ჯ. ჭ-ისა და გ. რ-ის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #1869 და #1957 დასკვნებით, ტრასოლოგიური ექსპერტიზის #143/ტრ დასკვნითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი არასრულწლოვანია, ნასამართლობის არმქონეა, ხასიათდება დადებითად და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. ხ-ისთვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. ხ-ის სასიკეთოდ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს 3 წლით და შეეფარდოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, ასევე, უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 5 წლითა და 3 თვით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, როგორც კანონიერი და დასაბუთებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ა. ხ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ ა. ხ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 3 წლით და შეეფარდოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, შეუმცირდეს ერ-

თი მეოთხედით და საბოლოოდ ა. ხ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 5 წლითა და 3 თვით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის შემსუბუქება

### განჩინება

#698-აპ-10

10 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ს დამცველის, ადვოკატ ვ. ლ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 იანვრის განაჩენით ე. ჩ. ო-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით. მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2009 წლის 27 აგვისტოდან.

განაჩენით ე. ჩ. ო-ს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

... რაიონის სოფელ ... მცხოვრებ, ზ. ი-ს ... რაიონის სოფელ ... ჰქონდა საზაფხულო საძოვარი, სადაც მწყემსავდა თავის კუთვნილ ცხვარს და სხვა საქონელს. ზ. ი-ის ფერმის მახლობლად საძოვარი ნაქირავები ჰქონდა ... რაიონის სოფელ ყ-ში მცხოვრებ, ე. ჩ. ო-ს, რომელიც თავის ამხანაგ შ. რ. ო-სთან ერთად ასევე მწყემსავდა თავიანთ კუთვნილ ცხვარს. 2009 წლის მაისში ზ. ი-მა ნახა, რომ ე. ჩ. ო-ი მის საძოვარზე აძოვებდა ცხვარს, რის გამოც ამ უკანასკნელს ეჩხუბა და მოსთხოვა ცხვრების მიცემა. 2009 წლის 25 აგვისტოს, საღამო ხანს, ზ. ი-ი შეხვდა ე. ჩ. ო-ს, რომელსაც უთხრა, რომ დალევდა უნდოდა და მოსთხოვა გამასპინძლეობა, რაზეც ე-მა უპასუხა, რომ უკვე გვიანი იყო და შესთავაზა მეორე დღეს, 12.00 საათის შემდეგ ექეიფათ. ზ. ი-მ წინადადებას დათანხმდა. დილით ე-მა და მისმა მეწყვილემ - შ. რ. ო-მ პურ-მარილი აიტანეს საძოვრების მიჯნაზე და გაშალეს სუფრა, მაგრამ ზ. არ ჩანდა. ე. 14.00 საათამდე ელოდა მას, რის შემდეგაც დაუმახა მახლობლად მყოფ მწყემსებს - შ-ს და ხ-ს და დაიწყო ქეიფი. დაახლოებით ორი საათის შემდეგ მათთან მივიდა ზ. ი-ი, რომელიც იყო ნასვამი. ზ. ი-მა ე-ს უსაყვედურა იმის გამო, რომ მას არ დაელოდნენ და მის გარეშე დაიწყეს დალევა. ამის შემდეგ ზ-მ ე-ს დააბრალა ა. ლ-ის დაკარგული თოფის პოვნა და მოსთხოვა პატრონისათვის დაბრუნება. ე-მა უპასუხა, რომ დაკარგული თოფის შესახებ არაფერი იცოდა. ამ პასუხით გაღიზიანებულმა ზ. ი-მა ე-ს დაუწყო გინება და გაიწია მისკენ საცემად, თან ცხვრების წართმევით ემუქრებოდა. იქ მყოფმა მწყემსებმა ისინი გააშველეს, რის შემდეგაც ე. გაერიდა ზ-ს და თავისი ფერმისკენ წავიდა. განაწყენებულმა ე. ჩ. ო-მ შურისძიების მიზნით ფერმაში აიღო თავისი კუთვნილი, 16 მმ კალიბრის, ცალლულიანი სანადირო თოფი, დამუხტა #0000 საფანტის ვაზნით და გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც ზ. ეგულბოდა. გზაში მან დაინახა მისკენ გინებითა და მუქარით მომავალი ზ. ი-ი, რომელსაც დამიზნებით, მოკვლის განზრახვით, ერთხელ ესროლა არაახლო მანძილიდან გულმკერდის არეში, რითაც მას მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები, კერძოდ: გულმკერდის წინა ზედაპირზე, მკერდის ძვლის პროექციაზე, მე-7 ნეკნის დონეზე - გულმკერდის ღრუში შემავალი ერთი დიდი ჭრილობა, ზომით 5X4,5 სმ; მის ირგვლივ, ეპიგასტრიუმის ზემოთ, მე-4 ნეკნის დონემდე და ორივე ლავიწის შუა ხაზებს შორის - 19 მრგვალი ფორმის ჭრილობა, თითოეული - 0,6X0,6 სმ. გულის მთლიანობის დარღვევისა და გულმკერდის ღრუს ორგანოების მრავლობითი დაზიანებით განვითარებული მწვავე, ზოგადი სისხლნაკლებობის შედეგად ზ. ი-ი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ე. ჩ. ო-ი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ე. ჩ. ო-მ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ვ. ლ-მ. აპელანტები თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ კვალიფიკაციის შეცვლასა და მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ს მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით დაკვალიფიცირებას, ხოლო კვალიფიკაციის უცვლელად დატოვების შემთხვევაში - მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ ე. ჩ. ო-მ მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. გარემოებები, რომლებიც მკვლელობას წინ უსწრებდა, ე. ჩ. ო-ის უქმნიდა სრულ საფუძველს ეფიქრა, რომ იგი მოსალოდნელი საფრთხისაგან იყო სავსებით დაუცველი. ზ. ი-ი იყო მთვრალი, მასზე ფიზიკურად ძლიერი და მისი მუქარა, რომ "ე. ჩ. ო-ს ბოლო წუთები ელოდა", მისთვის რეალური საფრთხის შემცველი იყო. ამასთან, ე. ჩ. ო-ი ხვდებოდა, რომ ზ. ი-ს შორიასხლოს მოპყვებოდა მხოლოდ მისი მეწყვილე - შ. რ. ო-ი, რომელიც მართო ვერ შეძლებდა მის შეჩერებას. ე. ჩ. ო-ი ერთხელ უკვე მოერიდა მოძალადეს, მაგრამ ახლა ადგილზე დარჩა თავისი ქონების დასაცავად - ზ. ი-ი მას ცხვრების წართმევითაც ემუქრებოდა. მისმა ემოციურმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ მოსალოდნელი საფრთხის წყაროს - ზ. ი-ს მასთან შედარებით უპირატესი ფიზიკური ძალის - წინააღმდეგ გამოიყენა უფრო ძლიერი იარაღი - სანადირო თოფი. მსჯავრდებულს შურისძიების მოტივით მკვლელობის განზრახვა რომ ჰქონოდა, იგი შემთხვევის ადგილიდან წასვლამდე ზ. ი-ის სიკვდილში მანაც დარწმუნდებოდა, რომ აღარაფერი ითქვას მეორე გასროლის შესაძლებლობაზე. ამის ნაცვლად მან თავის მეწყვილე შ. რ. ო-ის სთხოვა, დახმარებოდა დაჭრილს, რის შემდეგაც დაურეკა შვილს, შეატყობინა მომხდარის შესახებ და სთხოვა სამედიცინო დახმარების გამოგზავნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-სა და მისი დამცველის - ვ. ლ-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 6 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ე. ჩ. ო-მ და მისმა დამცველმა ვ. ლ-მ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები თავიანთი საჩივრით ითხოვენ კვალიფიკაციის შეცვლასა და მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ს მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით დაკვალიფიცირებას, ხოლო კვალიფიკაციის უცვლელად დატოვების შემთხვევაში - მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სასჯელის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულმა ე. ჩ. ო-მ ზ. ი-ის განზრახ მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რადგან ასეთი ვერსია არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. მართალია, სინამდვილეს შეესაბამება ის გარემოება, რომ აწ გარდაცვლილი ზ. ი-ი თვითონ მიდიოდა ე. ჩ. ო-საკენ მუქარით, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ მომენტისათვის არსებული სხვა გარემოებებიც, რომლებიც გამორიცხავენ აუცილებელი მოგერიების ვითარების შესაძლო არსებობას, კერძოდ: ზ. ი-ის მხრივ მუქარა გამოხატული იყო მხოლოდ სიტყვიერად, რომლის განხორციელების შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, ე.ი. არ იყო რეალური და იმწუთიერი, რაც არ წარმოადგენდა მსჯავრდებულისათვის ძნელად აღსაქმელ და გასარკვევ სიტუაციას; ამასთან, თოფის გასროლის მომენტში საკმაო მანძილი არსებობდა ე. ჩ. ო-სა და ზ. ი-ს შორის, ხოლო სანამ ზ. ი-ი ამ მანძილს დაფარავდა, ე. ჩ. ო-ის ჰქონდა შესაძლებლობა, შეერჩია უფრო ნაკლებად საზიანო საშუალება თავის დასაცავად, თუკი ამ უკანასკნელის აუცილებლობა და საჭიროება წარმოიშობოდა; გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შემთხვევას ესწრებოდა ე. ჩ. ო-ს მეწყვილე მწყემსი - შ. რ. ო-ი, რომელიც უკვე ცდილობდა ზ. ი-ის შეჩერებას, ვისი დახმარებითაც მსჯავრდებული თავისუფლად შეძლებდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ზ. ი-თან გამკლავებას თოფის გამოყენების გარეშე, თუკი იგი მას თავს დაესხმებოდა.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია: მოცემულ შემთხვევაში, საქმეში მოიპოვება საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ე. ჩ. ო-მ ნამდვილად ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - ზ. ი-ს განზრახ მკვლელობა, რის გამოც არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხ-

ლით დაკვალიფიცირებისათვის, რადგან აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ განზრახ მკვლელობას.

ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში, ვინაიდან მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-სათვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით - არ შეესაბამება სისხლისსამართლებრივი სასჯელის ინდივიდუალიზაციისა და სამართლიანობის პრინციპებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს განაჩენის დადგენისას; ამასთან, სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ის გარემოებები, რომლებიც ამსუბუქებენ ე. ჩერქეზ ოდლის პასუხისმგებლობას. საკასაციო პალატას მხედველობაში აქვს შემდეგი: იმ კონფლიქტის ამკარა ინიციატორი, რომელსაც მკვლელობა მოჰყვა, იყო აწ გარდაცვლილი ზ. ი-შვილი, რომელიც ამკარად უსაფუძვლო საბაზით საცემად იწვევდა ე. ჩ. ო-ის მიმართ, რადროსაც ზ. ი-ი შეაკავეს იქ მყოფმა სხვა პირებმა; ამის შემდეგ ე. ჩ. ო-ი, როგორც განაჩენშია აღნიშნული, გაერიდა ზ. ი-ს და წავიდა თავის ფერმაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ე. ჩ. ო-ი აღარ აპირებდა კონფლიქტის გაგრძელებასა და მოძალადისათვის პასუხის გაცემას; მიუხედავად ამისა, როგორც საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, ზ. ი-ი მაინც ჯიუტად ცდილობდა კონფლიქტის ესკალაციას და იგი მუქარით წავიდა თავის ფერმაში მყოფი ე. ჩ. ო-ისკენ, რადროსაც მოხდა თოფის გასროლა მისი მიმართულებით; მომხდარი შემთხვევის შემდეგ ე. ჩ. ო-ი თვითონ გამოცხადდა პოლიციაში ბრალის აღიარებით; გარდა ამისა, ე. ჩ. ო-ი პირველად არის სამართალში, მისი წარსული არაფრით არის შებღალული და პიროვნულად ხასიათდება დადებითად.

მითითებული გარემოებები მნიშვნელოვნად ამცირებს ე. ჩ. ო-ის ბრალის ხარისხს, რაც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა სასჯელის დანიშვნისას. ასეთ პირობებში მსჯავრდებულისათვის სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალურ ზომასთან მიახლოებული სასჯელის დანიშვნა არის მეტისმეტი სიმკაცრე და ამკარად ეწინააღმდეგება განზრახი მკვლელობის საქმეებზე სასჯელის ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ის მიმართ დაუშვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტითა და 565-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში შეცვლის საფუძველს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, ე. ჩ. ო-ის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით - უნდა შეუმცირდეს 4 წლით და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რისთვისაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის (1998 წლის 28 თებერვლის რედაქცია) 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ის დამცველის, ადვოკატ ვ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 14 წლის ვადით - შეუმცირდეს 4 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ე. ჩ. ო-ის მიმართ დარჩეს უცვლელად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის შემსუბუქება

### განჩინება

#649-აპ-10

24 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 მარტის განაჩენით თ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, სსკ-ის 238<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ თ. გ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლითა და 6 თვით. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 19 დეკემბრიდან.

განაჩენით თ. გ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საცავში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ არის ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; მანვე ჩაიდინა განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარება. აღნიშნული დანაშაულები გამოიხატა შემდეგში:

1998 წლის 26 მარტს თ. გ-ე გორის სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 150-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 152-ე მუხლის მესამე ნაწილით, ხოლო სასჯელის საბოლოო სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

1999 წლის 2 ოქტომბერს #1191 პრეზიდენტის განკარგულებით იგი გათავისუფლდა იქნა პირობით ვადაზე ადრე, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

იგი, ასევე, 2001 წლის 2 ოქტომბერს გაასამართლა გორის სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 363-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სასჯელის საბოლოო სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, მკაცრი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2009 წლის 12 ივნისს.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და იყო რა ორჯერ ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში: 2009 წლის 19 დეკემბერს, ღამის საათებში, თ. გ-ე იმყოფებოდა გორის რაიონის სოფელ მ-ში მცხოვრებ ვ. ლ-ის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შენიშნა ამავე საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე სადგომი, სადაც რამდენიმე დღით ადრე ნანახი ჰყავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა მას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გააღო პირუტყვის სადგომის კარი, რომელიც ჩაკეტილი იყო ლითონის რგოლით, შევიდა შიგნით და ნახა ლითონის ბოძზე თოკით დაბმული რამდენიმე სული ძროხა, ამოიღო ჯიბიდან თანაქონი დასაკეცი დანა და გადაჭრა თოკი, რომლითაც დაბმული იყო ძროხა და ფარულად დაეუფლა ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ღირებულოს - 800 ლარად.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. გ-მ, რომელმაც ითხოვა გამართლება სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 238<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ თ.



გ-ის ნასამართლობა არ უნდა იქნეს მიჩნეული მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, ვინაიდან თ. გ-ს მისი წინა ნასამართლობები მაკვალიფიცირებელ გარემოებად აქვს შერაცხული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; საქმეზე ჩატარდა არასრული სასამართლო გამოძიება; საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ იქნა ობიექტურად დადგენილი და, ასევე, არასწორად შეფასდა წარმოდგენილი მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი - მსჯავრდებული თ. გ-ე ითხოვს გამართლებას სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 238<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშულისთვის - მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად, ობიექტურად და, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და ეჭვს არ იწვევდა.

თ. გ-ის მიერ ქურდობის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საცავში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ არის ნასამართლევია სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის და განზრახ მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევია პირის მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარების, - ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ვ. ლ-ის ჩვენებით, მოწმეების - ა. ჩ-ის, ლ. ს-ის, დ. ჭ-ისა და გ. ლ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ექსპერტიზის #48/ტრ და #17/ც დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი ხასიათდება დადებითად, მისი ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. გ-ისთვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ თ. გ-ის სასიკეთოდ და მას სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმსუბუქდეს 6 თვით და სასჯელის სახედ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით; სსკ-ის 238<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმსუბუქდეს 6 თვით და სასჯელის სახედ განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ თ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვით; სსკ-ის 238<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ თ. გ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასჯელის შემსუბუქება

### განჩინება

#1087-აპ-10

24 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ო-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ც. ც-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მარტის განაჩენით გ. ო-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. ო-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლითა და 6 თვით. იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 21 ივნისიდან.

განაჩენით გ. ო-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობა; მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება; მანვე ჩაიდინა ხულიგნობა, ესე იგი ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით. აღნიშნული დანაშაულები გამოიხატა შემდეგში:

გ. ო-ს 2008 წლის ზაფხულიდან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ტ. შ-სთან. ეჭვიაზრობის ნიადაგზე მათ შორის ბოლო დროს იყო ხშირი კონფლიქტები. 2009 წლის 25 იანვარს გ. ო-ე იმყოფებოდა ტ. შ-ის საცხოვრებელ კორპუსთან, მისი კუთვნილი ა/მანქანით. ამ დროს მან შენიშნა ეზოში გაჩერებული ტ. შ-ის ოჯახის ახლობელ ნ. ო-ის მეუღლის - ა. გ-ის ა/მანქანა, იცნო იგი, და ოჯახის წევრებზე გაბრაზებულმა, შეგნებულად შეაჯახა თავისი კუთვნილი ა/მანქანა ა. გ-ის კუთვნილ ა/მანქანას მარჯვენა გვერდითა მხარეს. ა/მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ მან დაინახა ამ უკანასკნელის ოჯახში სტუმრად მიმავალი ჯ. გ-ე, რომელსაც იცნობდა როგორც შ-ის ნათესავს და, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის შემდეგაც თავისი ა/მანქანა გაარიდა შემთხვევის ადგილს. რამდენიმე წუთში გ. ო-ე ფეხით დაბრუნდა მეგობარ ლ. თ-სა და გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად, დაიწყო უცენზურო სიტყვებით გინება შ-ის ოჯახის მისამართით, თან ხელთ არსებული მინის ბოთლით ა/მანქანის მარჯვენა კარზე დარტყმით გააგრძელა ა/მანქანის დაზიანება. ამავდროულად საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, აგრესიულად იქცეოდა, ყვიროდა, ხმამაღლა იგინებოდა, რითაც უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავდა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას. რამდენჯერმე შეაფურთხა და ფეხებით ზევიდან გადაურბინა ა/მანქანას, რის შემდეგაც იგი ზემოთ აღნიშნულ პირებთან ერთად შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის გ. ო-ის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მის მიმართ გამოცხადდა ძებნა.

მიუხედავად ამისა, ძეზნილმა გ. ო-მ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში: გ. ო-მ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, რასაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა. ვინაიდან გ. ო-ე ზემოთ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის იყო ძეზნილი, მან დახმარება რამდენჯერმე სთხოვა მეგობარს - ლ. თ-ს, ვინაიდან იგი თვლიდა, რომ პასუხისმგებლობა მასაც უნდა დაკისრებოდა, რადგანაც ეს უკანასკნელი მასთან ერთად იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენისას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეგობრობდნენ, ლ. თ-მ დახმარებაზე უარი უთხრა, რის გამოც გ. ო-მ რამდენიმე დღით ადრე ლ. თ-ს სთხოვა, რომ 2009 წლის 20 ივნისს შეხვედროდა და გაერკვიათ თავიანთი ურთიერთობა.

2009 წლის 20 ივნისს ლ. თ-ე სხვა მეგობრებთან ერთად მიდიოდა საქეიფოდ, გზად მას მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა გ. ო-ე და შეახსენა, რომ უნდა შეხვედროდა. აღნიშნულზე ლ. თ-ე დასთანხმდა და მეგობრებთან ერთად შეხვდა გ. ო-ს დათქმულ ადგილას. მოკითხვის შემდეგ მათ გადაწყვიტეს სხვებისგან განცალკევებით ესაუბრათ და ამ მიზნით გავიდნენ კორპუსის უკან, სადაც გ. ო-მ კვლავ სთხოვა დახმარება, რომ მისულიყო დაზარალებულ ა. გ-სთან და ბოდიში მოეხადა გ. ო-ის ნაცვლად. აღნიშნულ თხოვნაზე ლ. თ-მ უარი განუცხადა, რამაც გამოიწვია ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც ლ. თ-ზე განაწყენებულმა გ. ო-მ განიზრახა მისი მოკვლა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ. ო-მ თანაქონი ცეცხლსასროლი იარაღი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და რამდენჯერმე ისროლა ლ. თ-ის მიმართულებით, რის შედეგადაც ამ უკანასკნელს მიაყენა მუცლის აორტისა და ნაწლავების მარყუქების დაზიანება. დაჭრილმა ლ. თ-მ, იმყოფებოდა რა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, მოახერხა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან საპასუხოდ ესროლა გ. ო-ს, რა დროსაც მიაყენა მას ფილტვის, დიაფრაგმისა და ღვიძლის დაზიანება, რის შემდეგაც მან მოახერხა გაქცევა და დაუდგენელ ადგილას გადამალა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი. ამის შემდეგ მან სცადა მიმალვა, რაც ვერ შესძლო საპასუხო სროლის შედეგად მიღებული ჭრილობის გამო. ლ. თ-ე კი მიღებული დაზიანებების გამო ჩაიკვდა შემთხვევის ადგილზე და გონება დაკარგა. ლ. თ-ე და გ. ო-ე დროის სხვადასხვა მონაკვეთში გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ჩატარდათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რის შედეგადაც გ. ო-ს შეუნარჩუნდა სიცოცხლე, ხოლო ლ. თ-ე გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ო-მ, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მარტის განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. ო-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ც. ც-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; საქმეზე ჩატარდა არასრული სასამართლო გამოძიება; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით, ასევე არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის მატერიალური კანონი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად და ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და არ იწვევდა ეჭვს. გ. ო-ის მიერ განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარების, ხულიგნობის, ესე იგი ქმედების, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილს იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, - ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლის - ჟ. თ-ის ჩვენებით, მოწმეების - ე. და ჯ. გ-ების, მ. და ტ. შ-ების, ა. გ-ის, მ. ბ-ის, გ. თ-ს, კ. ჯ-ს, რ. მ-ის, ა. ჟ-ის, ი. ფ-ს, ი. ბ-ისა და გ. ნ-ის ჩვენებებით,

ექსპერტების - ა. ა-ის, თ. კ-ის, დ. ე-ისა და გ. ც-ის ჩვენებით, შემთხვევის ადგილისა და ავტომანქანის დათვალიერების ოქმებით, ლუქის გახსნისა და ავტომანქანის დამატებით დათვალიერების ოქმით, ამოღების ოქმებით, ექსპერტიზის #1132/04/19, #248/ა, #1708/ა და #584/სქ დასკვნებით, ბალისტიკური ექსპერტიზის #619/ბ დასკვნით, ქიმიური ექსპერტიზის #რან/602, #607/რან და #597/რან დასკვნებით, ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის #601/რან დასკვნით, ბიოლოგიური ექსპერტიზის #927/სბ დასკვნით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #616/33 და #5215/31 დასკვნებითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი ხასიათდება დადებითად, არის წარმატებული სპორტსმენი, აქვს შეუბღალავი წარსული, ნასამართლობის არმქონეა, არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ო-სთვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ო-ის სასიკეთოდ და მას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დანიშნული სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს, კერძოდ: სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით უნდა შეეფარდოს ჯარიმა - 2000 ლარი, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით - ჯარიმა 3000 ლარი.

გასაჩივრებული განაჩენი, როგორც კანონიერი და დასაბუთებული, სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. ო-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ც. ც-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ო-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით შეეფარდოს ჯარიმა - 2000 ლარი; სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით - ჯარიმა 3000 ლარი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ გ. ო-ს სასჯელის სახით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 13 წლით და ჯარიმა - 5000 ლარი.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. სასჯელის დანიშვნა დანაშაულის მცდელობისათვის**

### **განჩინება**

#616-აპ-10

20 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ო-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ბ-ის, ასევე - მსჯავრდებულ ბ. მ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენზე გ. ო-ისა და ბ. მ-ის მიმართ.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: 1. გ. ღ-ე - საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; 2. ბ. მ-ე - საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე - ყაჩაღობა არაერთგზის, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; 3. მ. შ-ე - საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ქურდობის მცდელობა, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით.

ამავე განაჩენით გ. გ-ე და გ. ს-ე დაუსწრებლად ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობის მცდელობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მ. შ-ემ განიზრახა ლ. ი-ის საცხოვრებელ ბინაში უკანონოდ შეღწევა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მისი კუთვნილი ქონების ფარულად დაუფლება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 26 ივლისს იგი მივიდა ლ. ი-ის ბინასთან და ისარგებლა რა ოჯახის წევრების სახლში არყოფნით, უკანონოდ შეაღწია ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ ნივთებს, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებს, რის შემდეგაც მ. შ-ე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით მან ლ. ი-ს მიყენა 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

მ. შ-ემ განიზრახა არაერთგზის ქურდობის ჩადენა. ამ მიზნით იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გ. გ-ეს, გ. ს-ეს, ბ. მ-ეს და მათთან ერთად განიზრახა თბილისში, ... ქ. #20-ში მდებარე # სკოლაში განთავსებულ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში შეღწევა და იქიდან ხელსაყრელი ნივთების ფარულად დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. გ-ე, გ. ს-ე, მ. შ-ე და ბ. მ-ე 2006 წლის 8 აგვისტოს, ღამის საათებში, მივიდნენ ზემოაღნიშნული სკოლის ეზოში და თანაქონი ე.წ. „ატმჩკების“ გამოყენებით შეეცადნენ შესასვლელი კარის გაღებასა და შენობაში შეღწევას, რა დროსაც ისინი დააკავეს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს თანამშრომლებმა, რის გამოც ბოროტმოქმედებმა ვერ შეძლეს თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ბ. მ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. მ-ს, გ. ღ-ესა და ორ პირს და მათ გადაწყვიტეს ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდნენ დიდი ოდენობით თანხასა და ძვირფას ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში, ე.წ. „ალექსანდრეს ბაღში“, სადაც მოილაპარაკეს, რომ 2006 წლის 10 ნოემბერს ყაჩაღურად თავს დაესხმებოდნენ თბილისში, ... ქ. #8-ში მცხოვრებ ა. მ-ეს. ამის შემდეგ მათ გაინაწილეს როლები, კერძოდ: ბინაში თავდაპირველად შევიდოდნენ ვ. მ-ი და ბ. მ-ე, რომლებიც ა. მ-ეს ეტყოდნენ, რომ ისინი მასთან „მშრალი ხიდიდან“ ვინმე მ-მ გააგზავნა და ამ ხერხით უკანონოდ შეაღწევდნენ ბინაში. ამ მოლაპარაკების შემდეგ ისინი დაიშალნენ, ხოლო 2006 წლის 10 ნოემბერს, დაახლოებით 9.00 საათზე, შეიკრიბნენ დათქმულ ადგილზე, სადაც კვლავ გაინაწილეს როლები და შეთანხმდნენ, რომ ბ. მ-ესა და ვ. მ-ს ბინაში შეჰყვებოდნენ გ. ღ-ე და მათი კიდევ ერთი თანამზრახველი, რომელმაც მეტი დამაჯერებლობისათვის ვ. მ-ს ჩააცვა წინასწარ მომზადებული თეთრი პერანგი და მუქი ფერის ლაზადა, გაუკეთა სათვალე გამჭვირვალე მინებით, რის შემდეგაც, შეთანხმებისამებრ, დაახლოებით 10.15 საათზე, ცეცხლსასროლი იარაღისმაგვარი საგნით შეიარაღებული ბ. მ-ე და ვ. მ-ი მივიდნენ ა. მ-ის საცხოვრებელი სახლის კართან, დააკაკუნეს და კარის გაღების შემდეგ უთხრეს, რომ ისინი მასთან ვინმე „მ-მ“ გააგზავნა ვერცხლის ნივთების შესაძე-

ნად. ამ გზით მათ უკანონოდ შეადგინეს ბინაში, სადაც ბ. მ-ემ თავში ხელი ჩაარტყა ა. მ-ეს, ხოლო ვ. მ-მა კი მას ხელი ააფარა პირზე. მათ ა. მ-ეს უბრძანეს, ხმა არ ამოედო, რის შემდეგაც, დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, დაზარალებულს ალუკვეთეს თავისუფლება, წინასწარ მომზადებული ე.წ. „სკოჩით“ აუკრეს თვალები, პირი და ხელ-ფეხი, რითიც შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების საშუალება. იარაღისმაგვარი საგნის გამოყენების მუქარით თავდამსხმელები ა. მ-ისაგან ითხოვდნენ ფულისა და ძვირფასი ნივთების გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში გ. ლ-ე და მისი კიდევ ერთი თანამზრახველი ემუქრებოდნენ მოკვლით. თავდამსხმელებმა ბინიდან გაიტაცეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ფული, უცხოური წარმოების გაზის პისტოლეტი, საბჭოთა კავშირისდროინდელი მარკები. გ. ლ-ე, ბ. მ-ე, ვ. მ-ი და მათი თანამზრახველი დაეუფლნენ ა. მ-ის კუთვნილ, 48980 ლარის ღირებულების ქონებას და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნული დანაშაულისათვის საბოლოოდ მიესაჯათ: მ. შ-ეს - 6 წლით, ბ. მ-ეს - 23 წლითა და 9 თვით, გ. ლ-ეს - 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, გ. გ-ესა და გ. ს-ეს - თითოეულს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მათვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრათ ჯარიმა: მ. შ-ეს, გ. ლ-ეს, გ. გ-ესა და გ. ს-ეს - 4500-4500 ლარის, ბ. მ-ეს კი - 9000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ლ-ესა და ბ. მ-ეს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 24 აპრილიდან, მ. შ-ეს კი - 2007 წლის 8 მაისიდან; ბ. მ-ეს სასჯელის მოხდაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2006 წლის 8 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო მ. შ-ეს - 2006 წლის 8 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. მ-ემ, მსჯავრდებულ გ. ლ-ის ადვოკატმა შ. ბ-მა, ასევე - მსჯავრდებულმა მ. შ-ემ და მისმა ადვოკატმა გ. დ-ამ.

მსჯავრდებულ გ. ლ-ის ადვოკატმა შ. ბ-მა, მსჯავრდებულმა მ. შ-ემ და ადვოკატმა გ. დ-ამ სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს განაჩენის გაუქმება და გ. ლ-ისა და მ. შ-ის გამართლება, ხოლო მსჯავრდებულმა ბ. მ-ემ - საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ქმედების სსკ-ის 179-ე მუხლიდან 178-ე მუხლზე გადაკვალიფიცირება, ხოლო ქურდობისა და ქურდობის მცდელობის ნაწილში - მინიმალური სასჯელის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბრალსა და სასჯელზე პროკურორსა და მსჯავრდებულ მ. შ-ეს შორის, რომლის თანახმად, მ. შ-ეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 3 წელი უნდა მოიხადოს სასჯელდასრულების დაწყებულებაში, ხოლო დარჩენილი 3 წელი შეეცვლება პირობითი მსჯავრით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი.

ამავე განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენი გ. ლ-ის მიმართ დარჩა უცვლელად, ხოლო ბ. მ-ის მიმართ შეიცვალა: მას სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მიესაჯა 20 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 9000 ლარი. გაუქმდა ბ. მ-ისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული გირაო და გირაოს სახით შეტანილი თანხა - 3000 ლარი საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. ლ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენი გამოტანილია საპროცესო ნორმების მოთხოვნების არსებითი დარღვევებით, კერძოდ: ორივე ინსტანციის სასამართლოებმა დაარღვიეს საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და გამამატყუნებელ განაჩენს საფუძველად დაუდეს ვარაუდი. გ. ლ-ის დამნაშავედ ცნობის დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან; მხოლოდ ვ. მ-ის მამხილებელი ჩვენება კი არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად, რადგან საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის დროს მან საერთოდ უარყო გ. ლ-ის მონაწილეობა ა. მ-ის ეპიზოდში; შემდეგ კი, იმის შიშით, რომ გააუქმდნენ მასთან დადებულ საპროცესო შეთანხმებას, ვ. მ-მა უარყო სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენება და დაეთანხმა წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას. აღნიშნულით კი სააპელაციო სასამართლო საერთოდ არ დაინტერესდა.

კასატორის აზრით, სასამართლომ ასევე დაარღვია საქართველოს სსკ-ის 477-ე მუხლის მოთხოვნები; მოსამართლეს მტკიცებულებად უნდა გამოეყენებინა ბ. მ-ის სასამართლოში და არა - წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები; მართალია, გ. ლ-ემ იცოდა ა. მ-ეზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტი, მაგრამ მას მონაწილეობა ამ დანაშაულის ჩადენაში არ მიუღია, ამიტომ მისი ქმე-

დება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 375-ე მუხლით. წინასწარი გამოძიება და სასამართლო რომ ცალმხრივი იყო, იმითაც დასტურდება, რომ, მიუხედავად მოწმე ლ. ს-ის ჩვენებისა, რომ მან იცოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების შესახებ, მისი ქმედების დასჯადობის საკითხთან დაკავშირებით არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. სასამართლომ გ. ლ-ის მიმართ არ გამოიყენა სსკ-ის 59-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი; მანვე არ უზრუნველყო ადვოკატი შ. ბ-ი საქმის მასალების გაცნობისა და ასლების გადაღების საშუალებით.

იმის გამო, რომ განაჩენს გ. ლ-ის ბრალდების ნაწილში საფუძვლად დაედო მხოლოდ ვარაუდი, არ დადგენილა დანაშაულის ჩადენის მოტივი, მიზანი და შედეგი, ქმედება არასწორად დაკვალიფიცირდა, ამიტომ ადვოკატი შ. ბ-ი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, გ. ლ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას საქართველოს სსკ-ის 143-ე და 179-ე მუხლებით და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას წინასწარ შეუპირებლად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვით.

კასატორი - მსჯავრდებული ბ. მ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ა. მ-ისათვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთაში მას მონაწილეობა არ მიუღია და სახეზეა ე.წ. „აღმსრულებლის ექსცესი“, რომელიც მას ბრალად ვერ შეერაცხება, ამიტომ ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა; იმის გამო, რომ არანაირი იარაღი, გარდა თავად ა. მ-ის იარაღისა, რომელიც არ იყო ცეცხლსასროლი და სროლისათვის ვარგისი, შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა, ამიტომ ქმედებას უნდა მიეცეს სწორი კვალიფიკაცია და ყაჩაღობა გადაკვალიფიცირდეს მარცვაზე. რაც შეეხება ქურდობასა და ქურდობის მცდელობას, კასატორის აზრით, მას ამ ნაწილში დანიშნული აქვს მკაცრი სასჯელი; ბ. მ-ემ აღიარა დანაშაული, ხასიათდება დადებითად, დაავადებულია მძიმე და განუკურნებელი სენით, ამიტომ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ბ. მ-ე ითხოვს, შეწყდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლით, მისი ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს 178-ე მუხლზე და დაენიშნოს მსუბუქი სასჯელი, ასევე შეუმსუბუქდეს სასჯელი ქურდობის მცდელობის ნაწილშიც.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ გ. ლ-ისა და მისი დამცველის საჩივრის მოტივებს, რომ გამამატყუნებელ განაჩენს საფუძვლად უდევს ვარაუდი და მისი დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, კერძოდ:

მოწმე ლ. ს-მა სასამართლოს განუმარტა, რომ ალექსანდრეს სახელობის ბაღში გ. გ-ე, გ. ლ-ე, ვ. მ-ი და ბ. მ-ე გეგმავდნენ ა. მ-ის ბინაზე ყაჩაღურ თავდასხმას. მოგვიანებით გ. გ-ისაგან შეიტყო, რომ ა. მ-ეს თავის ბინაში თავს დაესხნენ გ. ლ-ე, ბ. მ-ე და ვ. მ-ი. მოწმემ ისიც მიუთითა, რომ გატაცებული ნივთების სარეალიზაციოდ გ. გ-ე და გ. ლ-ე ერთად ჩავიდნენ ბათუმში.

დაზარალებულ ა. მ-ის ჩვენებით, ყაჩაღობამდე ესტუმრა გ. გ-ე და გ. ლ-ე. ეს უკანასკნელი გაეცნო სხვა სახელით და უთხრა, რომ სურდა გარკვეული ნივთების შეძენა.

თავად გ. ლ-ე არ უარყოფს, რომ ალექსანდრეს სახელობის ბაღში გ. გ-ემ შესთავაზა ა. მ-ის კუთვნილი ნივთების გატაცება, რაზეც უპასუხა: "კაცი ხომ არ უნდა მოკლა და ნივთები ისე ხომ არ უნდა წამოიღო". იგი ასევე არ უარყოფს, რომ გ. გ-ესთან ერთად ქ. ბათუმში ჩაიტანა და გაყიდა ვერცხლის ნივთები.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება სასამართლოში გამოქვეყნდა თავად ბ. მ-ის შუამდგომლობით, თუმცა ამ ჩვენებას გასაჩივრებული განაჩენი არ ეყრდნობა. რაც შეეხება ბ. მ-ის განმარტებას სასამართლოში, იგი საგულისხმოა იმ მხრივ, რომ საქმის წინასწარი გამოძიებისას ბ. მ-ის მიმართ რაიმე ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია და მან გ. ლ-ეზე, როგორც ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთ მონაწილეზე, თავად განუცხადა გამომძიებელს. სასამართლოში ბ. მ-ემ განმარტა, რომ გ. ლ-ის დასახელებით გამომძიებელი შეცდომაში შეიყვანა, მაგრამ მსჯავრდებულმა ამის მიზეზი ვერ დაასახელა.

მოწმის სახით დაკითხულმა ვ. მ-მა საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დაადასტურა, რომ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობდა და ბინაში იმყოფებოდა გ. ლ-ეც.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, ზემოაღნიშნული და სხვა მტკიცებულებების ობიექტური ანალიზით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. ლ-ემ და ბ. მ-ემ ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

უსაფუძვლოა მსჯავრდებულ ბ. მ-ის საჩივრის მოტივი ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, რადგან უდავოდ დადგენილია, რომ ა. მ-ისაგან თავდამსხმელები იარაღისმაგვარი საგნის დემონსტრირებით, წამებისა და მოკვლის მუქარით მოითხოვდნენ ფულსა და ძვირფას ნივთებს. ობიექტურად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე, უსაფუძვლოა ბ. მ-ის მითითება, რომ დაზარალებულისათვის თავისუფლება არ აღუკვეთავს და რომ ბრალდების ამ ნაწილში ადგილი ჰქონდა ამსრულებლის ექსცესს. აღნიშნულთან დაკავშირებით საფუძვლიანად იმსჯელა სააპელაციო პალატამ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ვ. მ-ის განმარტებით, გ. გ-ემ ჯგუფის წევრებს შორის გაანაწილა როლები და უთხრა, რომ თავდასხმისას წებოვანი ლენტის ჰქონდათ - თუ საჭირო იქნება, გამოიყენებთო.

საქმის მასალებიდან არ გამომდინარეობს, რომ რაიმე ფორმით შეიზღუდა პროცესის მონაწილეთა უფლებები და ამასთან დაკავშირებით გ. ლ-ისა და მისი დამცველის მითითებას პალატა ვერ გაიზიარებს.

ამასთან, გასაზიარებელია მსჯავრდებულ ბ. მ-ის მოთხოვნა ქურდობის მცდელობისათვის დაწინაურულ სასჯელთან დაკავშირებით, კერძოდ, 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულის მცდელობისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის სამ მეოთხედს. ამდენად, ბ. მ-ეს სასჯელად უნდა დაენიშნოს მის მიერ ჩადენილი ქურდობის მცდელობისათვის გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის - 7 წლით თავისუფლების აღკვეთის სამი მეოთხედი - 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, ბ. მ-ის მიმართ გირაოს სახით შეტანილი 3 ათასი ლარის სახელმწიფოსათვის გადაცემის ნაწილში განაჩენის დადგენისას სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად, "გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში".

საქმეში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გირაოს შემტანი პირის გაფრთხილებას სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და ვალდებულებების შესახებ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის გამო ბ. მ-ის მიმართ შეფარდებული გირაოს შემტანს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა დაუბრუნდეს გირაოს თანხა - 3 ათასი ლარი.

სააპელაციო პალატის განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი და სამართლიანია, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-10 ნაწილით, 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ გ. ლ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ შ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ ბ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და მის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განაჩენი შეიცვალოს: ბ. მ-ეს სსსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 5 წელი და 9 თვე შეუმცირდეს 6 თვით და ამ მუხლით განესაზღვროს 5 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ბ. მ-ეს საბოლოოდ განესაზღვროს 19 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 9 000 ლარი;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება ბ. მ-ის მიმართ გირაოს სახით შეტანილი 3 000 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვის შესახებ და აღნიშნული თანხა, კანონით დადგენილი წესით, დაუბრუნდეს მის შემტანს;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - გ. ლ-ის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



### 3. სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით

#### განჩინება

#493-აპ-10

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ყ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 იანვრის განაჩენით, გ. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. მსჯავრდებულ გ. ყ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2009 წლის 16 სექტემბრიდან.

იმავე განაჩენით კ. ჟ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ სასჯელს დამატა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 4 თვისა და 23 დღის ვადით და განაჩენთა ერთობლიობით კ. ჟ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 4 თვისა და 23 დღის ვადით. მსჯავრდებულ კ. ჟ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2009 წლის 16 სექტემბრიდან.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულებს - გ. თ-ს, ვ. ნ-სა და დ. ხ-ს შორის, რომლის თანახმადაც:

გ. თ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით. აქედან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 6 თვე - შესაბამის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დანარჩენი 2 წელი ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით.

ვ. ნ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. აქედან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, 1 წელი - შესაბამის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა - 5 000 ლარის ოდენობით.

დ. ხ-ე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. აქედან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის შესაბამისად, 1 წელი - შესაბამის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა - 5 000 ლარის ოდენობით.

განაჩენით კ. ჟ-ს, გ. თ-ს, ვ. ნ-ს, დ. ხ-სა და გ. ყ-ს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ მათ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. კ. ჟ-ს მსჯავრი დაედო სხვისი მოძრავი ნივთის არაერთგზის ფარული დაუფლებისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ჟ-ი მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 ივლისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ, კ. ჟ-ი გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობებს - გ. თ-ს, დ. ხ-ს, ვ. ნ-სა და გ. ყ-ს, რომლებიც ...- გარკვეული საფასურის გადახდის სანაცვლოდ ასრულებდნენ კერძო პირის მიერ დაკვეთილ სამუშაოებს - სადგურ „...-“ ვაგონებიდან ტვირთავდნენ იმპორტის სახით შემოსულ პროდუქციას, რა დროსაც განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით.

2009 წლის 16 სექტემბერს, დაახლოებით 16.00 საათზე, ხსენებულმა პირებმა შპს „- ს“ დირექტორ ს. ნ-საგან მიიღეს შეკვეთა 400 ლარის საფასურად მისი კუთვნილი ფირმის სახელზე იმპორტის სახით შემოსული მზესუმზირის ზეთის „-“ მუყაოს ყუთების ვაგონებიდან ჩამოტვირთვისა და სატვირთო ავტომანქანის საბარგულზე დატვირთვის თაობაზე. მათ განიზრახეს, პროდუქციის ჩამოტვირთვისას ფარულად დაუფლებოდნენ ს. ნ-ის კუთვნილი მზესუმზირის ზეთის „-“ ყუთებს, რასაც ისინი გ. თ-ს კუთვნილი ავტომანქანა „-“-ს, სახ. #, გადაზიდვად შემთხვევის ადგილიდან და რეალიზაციის შედეგად აღებულ თანხას გაინაწილებდნენ. აღნიშნულზე კ. ჟ-მა და მისმა თანამზრახველებმა თანხმობა განაცხადეს და დაპირებული გასამრჯელოს სანაცვლოდ შეუდგნენ სამუშაოს. პროდუქციის ჩამოტვირთვისას, წინასწარი შეთანხმებისამებრ, მათ შეარჩიეს სატვირთო ავტომანქანის სალონში ამ ზეთით დატვირთული 32 მუყაოს ყუთი, რომლის თითოეულ ყუთშიც მოთავსებული იყო სამი ხუთლიტრიანი პლასტმასის ქილა. სატვირთო ავტომანქანის საბარგულსა და #... ვაგონს შორის, სამუშაოს დასრულებისას, ს. ნ-მ კ. ჟ-ს გადასანაწილებლად გადასცა მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის დაპირებული ფულადი თანხა - 400 ლარი, თვითონ კი წავიდა სატვირთო ავტომანქანით. კ. ჟ-ი, გ. ყ-ი, გ. თ-ი, დ. ხ-ე და ვ. ნ-ი დარჩნენ ადგილზე. როდესაც აპირებდნენ მათ მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მზესუმზირის ზეთის „-“ ყუთების გ. თ-ს ავტომანქანაში ჩატვირთვასა და შემთხვევის ადგილიდან გადაზიდვას, ისინი დააკავეს - სამმართველოს I და II განყოფილების თანამშრომლებმა. იმავდროულად შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს მათ მიერ ფარულად დაუფლებული და გადამალული 29 მუყაოს ყუთი, თითოეულ ყუთში მოთავსებული იყო სამი ხუთლიტრიანი მზესუმზირის ზეთის „-“ პლასტმასის ქილა, ხოლო გ. თ-ს კუთვნილი ავტომანქანის უკანა საბარგულიდან ამოღებულ იქნა სამი მუყაოს ყუთი, თითოეულში მოთავსებული იყო მზესუმზირის ზეთის „-“ სამი ხუთლიტრიანი პლასტმასის ქილა.

2009 წლის 17 სექტემბერს, კ. ჟ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ამოღებულ იქნა 1 ცალი მოზრდილი ზომის მუყაოს ყუთი, მასში მოთავსებული ზეთის „-“ 12 ერთლიტრიანი პლასტმასის ქილით და ერთი ცალი ხუთლიტრიანი პლასტმასის ქილით. იმავე დღეს, ვ. ნ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ამოღებულ იქნა ერთ ცალ მუყაოს კოლოფში მოთავსებული სამი ხუთლიტრიანი ქილა „-“ ზეთით.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულ ს. ნ-ეს მიადგა 1251 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ კ. ჟ-ის დამცველმა, ადვოკატმა უ. მ-მ და მსჯავრდებულ გ. ყ-ს დამცველმა, ადვოკატმა მ. ლ-მ.

მსჯავრდებულ კ. ჟ-ს დამცველი, ადვოკატი უ. მ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა კ. ჟ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 იანვრის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ და კ. ჟ-ისათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ კ. ჟ-ი არის სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, ჰყავს ავადმყოფი დედა და ავტოვარიის შედეგად ტრავმირებული შვილი.

მსჯავრდებულ გ. ყ-ს დამცველი, ადვოკატი მ. ლ-ე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გ. ყ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო სასჯელის ზომად პირობითი მსჯავრის შეფარდებას იმ მოტივით, რომ გ. ყ-ი არის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულების - გ. ყ-ს, კ. ჟ-ს, გ. თ-ს, ვ. ნ-სა და დ. ხ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. ყ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნათა საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ყ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვითონ მსჯავრდებულის არ უარყოფს. ამასთან, პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ გ. ყ-ს საკასაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ შეიძლება დაკვალიფიცირებულიყო როგორც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენილ ქურდობად, ვინაიდან აღნიშნული ქურდობის თაობაზე იგი სხვა მსჯავრდებულებს შეუთანხმდა არა წინასწარ, არამედ - უშუალოდ ვაგონიდან ტვირთის ჩამოცლის წინ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად ითვლება, თუ მასში მონაწილე პირები წინასწარ შეთანხმდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში კი შეთანხმებიდან დანაშაულის აღსრულების დაწყებამდე არსებულ დროის ინტერვალს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულ გ. ყ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა სრული მოცულობით, მათ შორის - კ. ჟ-ს მსჯავრდების ნაწილშიც, რომელსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებია და მიიჩნია, რომ მის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება სარწმუნოდ არის დადასტურებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენი უნდა დაზუსტდეს კ. ჟ-ს სასჯელის საბოლოო ვადის განსაზღვრის ნაწილში, კერძოდ, კ. ჟ-ს დაკავების ოქმით ირკვევა, რომ იგი 2006 წლის 26 ოქტომბრიდან 2007 წლის 3 ივლისის ჩათვლით იმყოფებოდა პატიმრობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ კ. ჟ-ს პატიმრობაში ყოფნის ვადა - 8 თვე და 8 დღე უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 4 წლით თავისუფლების აღკვეთას - წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან, ნაცვლად 3 წლის, 4 თვისა და 23 დღისა, უნდა დაემატოს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 3 თვისა და 23 დღის ვადით და განაჩენთა ერთობლიობით კ. ჟ-ს სასჯელის საბოლოო ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 3 თვისა და 23 დღის ვადით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ კ. ჟ-ს მიმართ.

გარდა ამისა, მსჯავრდებულ კ. ჟ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს და, შესაბამისად, მას სასჯელი უნდა განესაზღვროს მხოლოდ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით, ხოლო მსჯავრდებულ გ. ყ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს და, შესაბამისად, მას სასჯელი უნდა განესაზღვროს მხოლოდ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, რადგან ამ მუხლების ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. ყ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: განაჩენი დაზუსტდეს კ. ჟ-ს სასჯელის საბოლოო ვადის განსაზღვრის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 4 წლით თავისუფლების აღკვეთას - წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან, ნაცვლად 3 წლის, 4 თვისა და 23 დღისა, დაემატოს თავისუფლების აღკვეთა 3 წლის, 3 თვისა და 23 დღის ვადით და განაჩენთა ერთობლიობით

კ. ჟ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 3 თვისა და 23 დღის ვადით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მარტის განაჩენიდან მსჯავრდებულების - გ. ყ-ისა და კ. ჟ-ის მიმართ ამორიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტები.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **4. ნასამართლობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე, მითითების ამორიცხვა**

##### **განჩინება**

#806-აპ-10

6 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ო. ფ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 მაისის განაჩენით ო. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ე“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი, სსკ-ის 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შერების წესით, ო. ფ-ეს სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2010 წლის 3 თებერვლიდან.

ო. ფ-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენით ო. ფ-ეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა, შენახვა, გადაზიდვაში, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; იმავე განაჩენით მას ასევე მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განაჩენით ო. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ო. ფ-ეს მოუხდელი სასჯელი გაუნახვერდა და გათავისუფლდა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, მან 2010 წლის 3 თებერვალს გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და ლურჯი ფერის ტრუსში შეინახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, რომელიც გამოძიებით დაუდგენელი სამარშრუტო მიკროავტობუსით უკანონოდ გადაზიდა ბათუმიდან ქუთაისში.

2010 წლის 3 თებერვალს, 22.40 საათზე, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ . . . , რესტორან „ა-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დააკავეს ო. ფ-

ე. მათ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ო. ფ-ის ლურჯი ფერის ტრუსიდან ამოიღეს მცირე ზომის, გამჭვირვალე პოლიეთილენის პარკში შეკრული პაკეტი, რომელშიც აღმოჩნდა ორ პაკეტად, ე.წ. „ბაშად“ გაზეთის ფურცლის ნაჭერსა და ვერცხლისფერ ქაღალდში დაფასობული, მოვარდისფრო-მოთეთრო ფხვიერი ნივთიერება, რომელიც დამატებითი ექსპერტიზის #ქ/38 დასკვნის თანახმად, წარმოადგენს კუსტარულად დამზადებულ ნარკოტიკულ საშუალება „ჰერონის“ შემცველ ნივთიერებას, რომელშიც ნარკოტიკული საშუალება „ჰერონის“ სუფთა წონა შეადგენს 1,344 გრამს.

2010 წლის 3 თებერვალს ო. ფ-ე შეამოწმეს ნარკოტიკულ თრობაზე, და მას ლაბორატორიული გამოკვლევის #... დასკვნის თანახმად დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკისა და „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ (მარიხუანა) მიღების ფაქტი.

აპელანტმა - მსჯავრდებულ ო. ფ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. რ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით, კერძოდ კი, მისთვის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმის დანიშვნა, ვინაიდან მსჯავრდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და მოინანია იგი. ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის მძიმე ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, არასამართლიანია ო. ფ-ისათვის დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის - 5000 ლარის დანიშვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განაჩენით წყალბუტოს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 11 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ო. ფ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს; მისი ოჯახი განიცდის უკიდურეს გაჭირვებას; მამა გარდაეცვალა, ჰყავს დედა, არასრულწლოვანი ძმა, რომლებიც საჭიროებენ მიხედვას და ითხოვა ცვლილების შეტანა განაჩენში სასჯელის შემცირების მიზნით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ ო. ფ-ის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების - მ. ი-ის, გ. ლ-ის ჩვენებებით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #... , დამატებითი ქიმიური ექსპერტიზის #... , ნარკოლოგიური გამოკვლევის #... დასკვნებით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებითა და საქმის სხვა მასალებით ო. ფ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ო. ფ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების მიზნით განაჩენში ცვლილების შეტანის შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით: "მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა". აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატას მიაჩნია, რომ ო. ფ-ისათვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ. იგი სავსებით უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმ ნაწილში, სადაც იგი მსჯავრდებულის საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ადრე ნასამართლობას განიხილავს როგორც დამამძიმებელ გარემოებას, რადგან ო. ფ-ე მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, ხოლო ადრე გასამართლებული იყო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და, ამდენად, მისთვის ადრე ნასამართლობის დამამძიმებელ გარემოებად შერაცხვა დაუშვებელია, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით შერაცხულ ნასამართლობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად: "თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვა-

ლისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება”.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით შერაცხულ ნასამართლობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ო. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით შერაცხულ ნასამართლობაზე, როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**5. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა**

**განჩინება**

#54-საზ-09

5 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-ის საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 19 მაისის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 19 მაისის განაჩენით მ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, იმავე კოდექსის 109-ე მუხლის „თ“, „ლ“ ქვეპუნქტების (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) საფუძველზე – თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) თანახმად, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „თ“, „ლ“ ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) დანიშნულ სასჯელს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) დანიშნული სასჯელიდან დაემატა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმავე კოდექსის 59-ე მუხლის (მითითებული რედაქცია) მე-4 ნაწილის საფუძველზე შეკრებილმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწი-

ლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით.

იმავე განაჩენით ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტების (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, იმავე კოდექსის 109-ე მუხლის "თ", "ლ" ქვეპუნქტების (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) თანახმად, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "თ", "ლ" ქვეპუნქტებით (2003 წლის 20 ივნისის რედაქცია) დანიშნულ სასჯელს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) დანიშნული სასჯელიდან დაემატა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იმავე კოდექსის 59-ე (მითითებული რედაქცია) მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეკრებილმა სასჯელმა შთანთქა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განაჩენით მ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; იმავე კოდექსის 378<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. მ. გ-ი, "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან და მას საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) თანახმად, სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 9 თვისა და 15 (თხუთმეტი) დღის ვადით და მ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის, 9 თვისა და 15 დღის ვადით.

იმავე განაჩენით ა. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; იმავე კოდექსის 378<sup>2</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. ა. კ-ე, "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან და მას საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) თანახმად, სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 8 თვისა და 28 დღის ვადით და ა. კ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის, 8 თვისა და 28 დღის ვადით.

მსჯავრდებული მ. გ-ი საჩივრით ითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შესული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე მის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 19 მაისის განაჩენის მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა მსჯავრდებულ მ. გ-ის პირადი საქმის მასალები და შეამოწმა მისი საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულ მ. გ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტით (მითითებული რედაქცია), რომელიც სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას შეესაბამება ამჟამად მოქმედ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტს (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რომელიც იმავე ქმედებისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღ-

კვეთას ვადით თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე. ამიტომ მ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტიდან (მითითებული რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე (მითითებული რედაქცია). გასაჩივრებული განაჩენი მ. გ-ის მსჯავრდების სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მათთან მიმართებით არ არსებობს ახლად გამოვლენილი გარემოება. ამასთან, იმავე განაჩენით მ. გ-ის მიმართ განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით - უნდა დარჩეს უცვლელად, ვინაიდან იგი განსაზღვრულია ახალი კანონით დადგენილი სანქციის ფარგლებში, რომლის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 9 თვისა და 15 დღის ვადით დამატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 7 წლით თავისუფლების აღკვეთას და მ. გ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის, 9 თვისა და 15 დღის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განჩინება სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ ა. კ-ის მიმართ და მიიჩნია, რომ ა. კ-ის ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტით (მითითებული რედაქცია), ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდების სხვა ნაწილში, აგრეთვე იმავე განაჩენით მსჯავრდებულ ა. კ-ის შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 16 წლის ვადით - უნდა დარჩეს უცვლელად, რომლის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის, 8 თვისა და 28 დღის ვადით დამატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განაჩენით დანიშნულ სასჯელს - 7 წლით თავისუფლების აღკვეთას და ა. კ-ეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის, 9 თვისა და 15 დღის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 19 მაისის განაჩენი მსჯავრდებულების - მ. გ-სა და ა. კ-ის მიმართ უნდა შეიცვალოს მათ სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე მუხლით, 568-ე მუხლითა და 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ მ. გ-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 19 მაისის განაჩენი მსჯავრდებულების - მ. გ-სა და ა. კ-ის მიმართ, შეიცვალოს შემდეგი მიმართებით: მათი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის "ლ" ქვეპუნქტით (მითითებული რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე (მითითებული რედაქცია). ხოლო გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულების - მ. გ-სა და ა. კ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **II კერძო ნაწილი**

### **6. განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში**

#### **განჩინება**

#628-აპ-10

4 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,



### პ. სილაგამე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 აგვისტოს განაჩენით გ. შ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით; სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით; სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით; სსკ-ის 188-ე მუხლის I ნაწილით - ჯარიმა - 2000 ლარი; სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით; სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. შ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 21 წლითა და 6 თვით და ჯარიმა - 2000 ლარი. იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 5 დეკემბრიდან.

განაჩენით გ. შ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით; მანვე ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით; მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით; მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება; მანვე ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 3 დეკემბერს გ. შ-ს შეიარაღდა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი "ბრაუნინგის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით და გაემართა კ-ის ქუჩაზე განთავსებული აფთიაქის მიმართულებით. დაახლოებით 20:30 საათზე, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, იგი თავს დაესხა აფთიაქში მყოფ გამყიდველ ნ. კ-ს და ცეცხლსასროლი იარაღით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით აიძულებდა ფულის გადაცემას. აღნიშნულ ფაქტს შეესწრო კ-ის ქუჩაზე მყოფი, საქართველოს შსს-ს სოფ-ის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ინსპექტორ-გამომძიებელი ნ. მ-ე, რომელმაც გადაწყვიტა რა გ. შ-ს დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, გააღო აფთიაქის კარი და მისი ფეხების მიმართულებით მოახდინა ერთი გასროლა სამსახურებრივ-სამტატო "მაკროვის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შემდეგაც მისი პისტოლეტის ლულის სავაზნეში გაიჭედა ვაზნა და იგი იძულებული გახდა გარიდებოდა შემთხვევის ადგილს. სროლის შედეგად დაჭრილმა გ. შ-მ, ჩადენილი ჰქონდა რა ყაჩაღობა, აღნიშნული დანაშაულის დაფარვის მიზნით, განიზრახა ნ. მ-ს მკვლელობა, აფთიაქიდანვე მის ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროლა ნ. მ-ს მიმართულებით, ხოლო შემდეგ გამოვიდა აფთიაქიდან და ქუჩაში კვლავ სამჯერ გაისროლა, რა დროსაც ტყვია მოხვდა იქვე მყოფ ი. ბ-ს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. გასროლის შედეგად ასევე დაზიანდა კავსადის ქუჩაზე მოძრავი გ. გ-ის კუთვნილი "ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანა, რითაც მას 240 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პ. ბ-მა, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 აგვისტოს განაჩენის გაუქმება და გ. შ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პ. ბ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია; სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევებით; გ. შ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედებები არ დასტურდება საქმეში არსებული

უტყუარი მტკიცებულებებით და განაჩენი ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდებს, ასევე მთელი რიგი სამართლებრივი საკითხები გადაწყვეტილია არასწორად. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 13 მაისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შეკრებილი მტკიცებულებები ორივე ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია და შეაფასა სრულად და ობიექტურად და კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დადგენილად მიიჩნია მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც უტყუარად დასტურდებოდა და არ იწვევდა ეჭვს.

გ. შ-ს მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე ყაჩაღობის, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარების, გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანების, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, - ჩადენა დასტურდება საქმეში არსებული და სასამართლოს მიერ გამოკვლეული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულების - ნ. კ-ის, ნ. მ-ის, თ. რ-ის ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლის - ლ. მ-ის ჩვენებით, მოწმეების - მ. ც-სა და ნ. კ-ის ჩვენებებით, პირის ფოტოსურათით ამოსაცნობად წარდგენის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის #933/ზ, #918/ზ და #117/11 დასკვნებით, ბიოლოგიური ექსპერტიზის #4258/28 და #4328/28 დასკვნებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #9336/30 და #1501/33 დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

რაც შეეხება გ. შ-სთვის განზრახ მკვლელობის მცდელობის ნაწილში დამამძიმებელ გარემოებად სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტების შერაცხვას, ბრალდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით მატერიალური კანონი არასწორად არის გამოყენებული, კერძოდ:

გ. შ-ა წინასწარი გამოძიებისას განმარტავს, რომ ეკამათებოდა რა აფთიაქის გამყიდველს, ამ დროს უკნიდან გაიგონა გასროლის ხმა და იგრძნო ტყვიის მოხვედრა მარჯვენა დუნდულოს არეში, რასაც მოჰყვა მეორე გასროლაც მისი მიმართულებით, რის შემდეგაც იმ მიზნით, რომ შეეშინებინა ის პირი, რომელმაც ესროლა მას, გაისროლა მისი მიმართულებით ისე, რომ მისთვის არ მოერტყა ტყვია, ამის შემდეგ გავიდა გარეთ, ჩაჯდა სამარშრუტო ტაქსში და წავიდა სახლში.

დაზარალებულ ნ. კ-ის წინასწარ და სასამართლო გამოძიების ეტაპზე მიცემული თანმიმდევრული ჩვენებებით დასტურდება, რომ იმ დროს, როდესაც გ. შ-ა იარაღის მუქარით აიძულებდა მას ფულის გადაცემას, აფთიაქის კარი შეაღო მისთვის უცნობმა მამაკაცმა, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა ნ. მ-ე. მან ისე, რომ მთლიანად არც შესულა აფთიაქში, გაისროლა შ-ს მიმართულებით, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმაც რამდენჯერმე გაისროლა მისი მიმართულებით და შემდეგ დატოვა შემთხვევის ადგილი.

აღნიშნული დასტურდება დაზარალებულ ნ. მ-ის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული და სასამართლოში გამოქვეყნებული ჩვენებითაც. ნ. მ-ე აღნიშნავს, რომ მან შეაღო აფთიაქის კარი, ამოიღო იარაღი და გადატენა, რის ხმაზეც შ-ა აპირებდა შემოტრიალებას და სწორედ ამ დროს გაისროლა მ-მ მისი მიმართულებით. აღნიშნულის შემდეგ შ-მაც მაშინვე გაისროლა მისი მიმართულებით, ჯერ კიბის უჯრედიდან, ხოლო შემდეგ - გარეთ.

მსჯავრდებულისა და დაზარალებულის ჩვენებები ემთხვევა ერთმანეთს იმ ნაწილში, რომ გ. შ-ა, მიიღო რა დაზიანება ნ. მ-ის გასროლის შედეგად, უმალვე მოტრიალდა და ისროლა მ-ის მიმართულებით, რის შემდეგაც დატოვა შემთხვევის ადგილი.

პალატა განმარტავს, რომ დამნაშავეს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა, არამედ მას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ კლავს მსხვერპლს სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ან უკვე შესრულებული მოვალეობის გამო სამაგიეროს მიზლის მიზნით. ხოლო მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვლენების განვითარების სპეციფიკიდან და დაზარალებულ ნ. მ-ის მოქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, გ. შ-ს ასეთი განზრახვა ვერ წარმოემოზოდა.

რაც შეეხება სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტით კვალიფიკაციას, პალატა აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი და დამნაშავეს შემდგომი ქცევა გამორიცხავს ამ პუნქტით კვალიფიკაციას. კერძოდ, დაზარალებული ნ. კ-ე აღნიშნავს, რომ შემთხვევა მოხდა დაახლოებით 21:00 საათზე, იგი ასევე აღნიშნავს, რომ გარეთ მოსიარულებს თავისუფლად შე-

ემლოთ დაენახათ, თუ რა ხდებოდა აფთიაქში და რამდენიმე ადამიანმა დაინახა კიდეც აფთიაქში განვითარებული მოვლენები.

აღნიშნული დასტურდება აგრეთვე დაზარალებულ ნ. მ-ის ჩვენებითაც. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითაც დადასტურებულია, რომ აფთიაქს აქვს გამჭვირვალე მინის კარი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დანაშაულის (ყაჩაღური თავდასხმის) მოწმე იყო არა მხოლოდ ნ. მ-ე, არამედ ნ. კ-ეც, და, შესაბამისად ამ დანაშაულის დასაფარად საკმარისი ვერ იქნებოდა გ. შ-ს მიერ მხოლოდ ნ. მ-ის მოკვლა, ვინაიდან მთავარი მოწმე - ნ. კ-ე რჩებოდა ყველაფრის თვითმხილველი. მაგრამ მიუხედავად ამისა, მან ნ. კ-ე დატოვა ცოცხალი, მაშინ, როცა შეეძლო მისი მიმართულებითაც განეხორციელებინა გასროლა.

ამრიგად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ნ. მ-ის მიერ ნასროლი ტყვიით დაჭრილი მსჯავრდებულის შემდგომი ქცევის მიზანი არ ყოფილა დანაშაულის დაფარვა ან/და დაზარალებულის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის ხელის შეშლა.

შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი არ შეესაბამება სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გ. შ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით ჩადენილი ქმედებისთვის დანიშნული სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელი, ვინაიდან გ. შ-ს ბრალდების ამ ნაწილში დანიშნული აქვს კანონით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი და დასაბუთებულია. გ. შ-სთვის დანიშნული სასჯელი შეესაბამება მის პიროვნებას და ჩადენილ ქმედებათა სიმძიმეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განაჩენიდან გ. შ-ს მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში - მათ შორის გ. შ-სთვის დანიშნული სასჯელის ნაწილში - დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **7. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვა და საქართველოში შემოტანა**

#### **განჩინება**

#894-აპ-10

21 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- გ. შავლიაშვილი**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. პ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. კ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 აგვისტოს განაჩენით პ. პ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და 262-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

პ. პ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 8 წლითა და 6 თვით, ხოლო სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, პ. პ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იმავე განაჩენით გ. ა-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და 262-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

გ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 6 თვით, 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 8 წლითა და 6 თვით, ხოლო სსკ-ის 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, გ. ა-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პ. პ-ესა და გ. ა-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვათ: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ისინი სასჯელს იხდიან 2008 წლის 3 დეკემბრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა გ. ა-ის მიმართ.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ შ. ზ-სა და მსჯავრდებულ გ. ა-ეს შორის.

გ. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის თანახმად გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 55-ე მუხლის გამოყენებით - 4 წლითა და 6 თვით, ხოლო 262-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, გ. ა-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 10 000 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

განაჩენით პ. პ-ეს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა, შენახვასა და საქართველოში უკანონოდ შემოტანაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

პ. პ-ემ 2008 წლის 2 დეკემბერს ქ. კიევში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა, შეინახა და 2008 წლის 3 დეკემბერს საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 5,0281 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეთადონის" ჰიდროქლორიდი (მარილი), რომლის ნაწილს - 1,5521 გრამ ნარკოტიკულ საშუალება "მეთადონის" ჰიდროქლორიდს (მარილს) უკანონოდ ინახავდა პირადად, ხოლო ნაწილს - 3,4760 გრამს უკანონოდ ინახავდა პირადად გ. ა-ე.

2008 წლის 3 დეკემბერს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის დარბაზში დააკავეს გ. ა-ე და პ. პ-ე. პ. პ-ის პირადი ჩხრეკისას მათ ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1,5521 გრამი ნარკოტიკულ საშუალება "მეთადონის" ჰიდროქლორიდი (მარილი), ხოლო გ. ა-ის პირადი ჩხრეკისას - განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 3,4760 გრამი ნარკოტიკული საშუალება მეთადონის ჰიდროქლორიდი (მარილი).

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ პ. პ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - გ. ე-ემ და დ. კ-მა. აპელანტებმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას სახელმწიფო ბრალმძებელმა სააპელაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა და ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 აგვისტოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ პ. პ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. კ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმე განხილულია სამართლებრივი და საპროცესო ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. ამდენად, მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო საჩივრის მოტივაციას პ. პ-ის უდანაშაულობის შესახებ, რადგან აღნიშნული არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და ასევე არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ვინაიდან პალატის აზრით, იგი განპირობებულია პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.

საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ პ. პ-ე 2008 წლის 3 დეკემბერს გ. ა-სთან ერთად დააკავეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის დარბაზში, რა დროსაც მისი პირადი ჩხრეკისას, სხვა ნივთებთან ერთად, კერძოდ, მის ხელთ არსებული ჩანთიდან ამოიღეს გამჭირვალე პოლიეთილენში მოთავსებული ღია ფერის ფხვიერი ნივთიერება, 2 სამგზავრო ბილეთი და საბარგო ქვითარი, რის თაობაზეც შედგა სათანადო ოქმი, ხოლო ამოღებული ნივთიერება და ნივთები დაილუქა შესაბამისი ლუქით. მოწმეების - დ. გ-ისა და გ. წ-ის როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებებით დადასტურებულია, რომ ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კიევის რეისით საქართველოში შემოიტანეს ნარკოტიკული საშუალება. ამასთან, სანამ პ-ე და ა-ე სასაზღვრო კონტროლს გაივლიდნენ, მათ თვალყურს ადევნებდნენ და ისინი არავის შეხვედრიან. ამის შემდეგ თბილისის აეროპორტის მოფრენის დარბაზში დააკავეს ეჭმიტანილი პირები - გ. ა-ე და პ. პ-ე.

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების - დ. გ-ისა და გ. წ-ის ჩვენებებით, ეჭმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის #... დასკვნით, საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ლაბორატორიული გამოკვლევის #... დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით პ. პ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

თბილისის საქალაქო სასამართლომ პ. პ-ესა და გ. ა-ეს ბრალიდან ამოურიცხა და გაამართლა სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და 262-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში, ანუ სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ პ. პ-ესა და გ. ა-ეს არ ჩაუდენიათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენა, შენახვა და საქართველოში უკანონოდ შემოტანა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ განაჩენში უცვლელად დატოვა საბრალდებო დასკვნით შერაცხული პ. პ-ის დანაშაულებრივი ქმედების ფორმულირება, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია, რომ: „პ. პ-ემ 2008 წლის 2 დეკემბერს ქ. კიევში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა, შეინახა და 2008 წლის 3 დეკემბერს საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 5,0281 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ ჰიდროქლორიდი (მარილი), რომლის ნაწილს - 1,5521 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მეთადონის“ ჰიდროქლორიდის (მარილს) უკანონოდ ინახავდა პირადად“. 2008 წლის 4 დეკემბრის ქიმიური ექსპერტიზის #1460/სქ დასკვნით კი: „პ. პ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული თეთრი ფერის კრისტალურ-ფხვიერი ნივთიერება, წონით - 2,9565 გრამი წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ ჰიდროქლორიდის (მარილს), არანარკოტიკული ნივთიერების - „დიმედროლის“ ნარევს, რომელშიც „მეთადონის“ რაოდენობაა - 1,5521 გრამი“.

ამდენად, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ პ. პ-ემ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და საქართველოში უკანონოდ შემოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1,5521 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ პ. პ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და 262-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 ივნისის განაჩენის სამოტივაციო ნაწილში უნდა ამოირიცხოს მსჯელობა, რომ პ. პ-ემ შეიძინა 5,0281 გრამი ნარკოტიკული საშუალება, რომლის ნაწილი - 3,4760 გრამი აღმოაჩნდა გ. ა-ეს.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და მსჯავრდებულ პ. პ-ის ბრალდების ფორმულირება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში უნდა მიეთითოს, რომ მსჯავრდებულმა პ. პ-ემ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1,5521 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეთადონი".

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ პ. პ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიეთითოს, რომ მსჯავრდებულმა პ. პ-ემ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 1,5521 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეთადონი".

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.